გაზეთი ბევრის, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№52 (1078) 13 – 14 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## „ონკოპაციენტი ვარ, ოპერაციის დაფინანსებაზე კი უარი მითხრეს“

გვ. 9

მოქალაქეები ჯანდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

# საქართველოში საოჯახო სასტუმროებს არავინ ამოწმებს!



რამდენად უსაფრთხოა ქობულეთში დასვენება

## რატომ

ვერ იცავენ უსაფრთხოების ნორმებს საოჯახო სასტუმროებში

არავის აქვს მათი შემოწმების უფლება

უნდა შევიდეს ცვლილება კანონში



გვ. 4–5

„არმაზი“ კანონდარღვევით გარემონტდა

გარდაცვლილი ბავშვის მამა პირველ კომენტარს აკეთებს

## რეპორტაჟი რუსთავის ეკლესიიდან



## ჯონდი ბაღათურია ოპოზიციურ პარტიებს ემიჯნება და თინა ხიდაშელის წინააღმდეგ აქციებს გეგმავს

გიორგი მარგველაშვილის თაოსნობით ოპოზიცია მთავრობას „დიდ კონფერენციაზე“ იბარებს

გვ. 3

## თორნიკე შარაშენიძის სკანდალური პროგნოზები

რატომ გააქტიურდა პრორუსი სეგმენტი და რა მიზეზის გამო ირჩევს ევრაზიულ კავშირს მოსახლეობის მესამედი

გვ. 7

## თიბისი ბანკმა ტექნიკურ სავაჭრო ფორუმს უმასპინძლა

თიბისი ბანკი TBC BANK

საერთაშორისო სავაჭრო პალატის ინიცირებულ ფორუმს საერთაშორისო ვაჭრობის დარგის 100-ზე მეტი ექსპერტი დაესწრო

გვ. 2

## თაღლითობით აწყობილი სამშენებლო ბიზნესი

გვ. 6

# თიბისი ბანკმა ტექნიკურ სავაჭრო ფორუმს უმასპინძლა




12 მაისს, თიბისი ბანკის სათავო ოფისში ტექნიკური სავაჭრო ფორუმი გაიმართა. ფორუმზე, ვაჭრობის დაფინანსების მსოფლიოს წამყვანმა ექსპერტებმა სფეროს განვითარების საკითხებზე იმსჯელეს. ღონისძიებას დაესწრნენ თიბისი ბანკის დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ფადი ასლი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წარმომადგენლები, საქართველოში მყოფი ინვესტორები და ვაჭრობის ფინანსირების ექსპერტები.

## საერთაშორისო სავაჭრო პალატის ინიცირებულ ფორუმს საერთაშორისო ვაჭრობის დარგის 100-ზე მეტი ექსპერტი დაესწრო

ტექნიკური სავაჭრო ფორუმი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ინიციატივითა და თიბისი ბანკის მხარდაჭერით გაიმართა. ფორუმის მთავარი თემა, ვაჭრობის დაფინანსების სფეროში არსებული ის მიღწევები იყო, რაც ამ ბიზნესის გრძელვადიან განვითარებაზე ახდენს გავლენას.

„ვორკშოფი", რომელშიც საერთაშორისო ვაჭრობის დარგის 100-ზე მეტი სპეციალისტი მონაწილეობდა, სამომავლოდ, პოზიტიურ და ორმხრივად სასარგებლო სავაჭრო ურთიერთობებს შეუწყობს ხელს. ეს კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი, უმთავრესი ფაქტორია.

ფორუმის პროგრამის ფარგლებში, მხარეებმა ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები განიხილეს, როგორებიცაა გარანტიის მოთხოვნის პრაქტიკა, კომპლექსური წინასაინვესტიციო შემოწმება, დადგენილი მოთხოვნების დაცვის კონტროლი, ვაჭრობის დაფინანსების პროფესიონალების გააქტიურების სტრატეგიები და ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

ღონისძიება თიბისი ბანკის დირექტორმა, **ვახტანგ ბუცხრიკიძემ** გახსნა. მისი თქმით, თიბისი ბანკს პატივი ერგო, ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის ემასპინძლა, რომელსაც ვაჭრობის დაფინანსებაში ჩართული ყველა ბანკი დაესწრო:

**„შესაძლოა, ეს ბანკები ადგილობრივ ბაზარზე ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ, თუმცა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მიმართულებით, მათი ჩართულობა და კოორდინაცია საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თანამშრომლობა და განვითარება ყველა ჩვენგანის ინტერესშია".**



თიბისი ბანკის სათავო ოფისში გამართულ ტექნიკურ სავაჭრო ფორუმზე, სიტყვით გამოვიდა საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, **ფადი ასლი,** რომელმაც EBRD-ის წარმომადგენლების ვიზიტის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ინვესტორებისთვის საქართველოს უზარმაზარი პოტენციალი აქვს: **„ტექნიკური სავაჭრო ფორუმისადმი ინტერესი ძალიან დიდია, რაც არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის პოზიტიური განვითარების დასაწყისს ნიშნავს. რაც შეეხება EBRD-ის შეხვედრას საქართველოში, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, ვინაიდან ამით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საკუთარ რუკაზე, საქართველოს მონიშვნას იწყებს. ეს უმაღლესი დონის ღონისძიებაა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა კომპანიის 1 500-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრება, მათ შორის, მაღალი დონის მაღალჩინოსნები, პრემიერ-მინისტრები, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები. ამგვარად, ყველას თვალი ახლა საქართველოსკენ იქნება მიმართული".**

*მაია მიშელაძე*

ვერსიანიუსი

## ინვესტორთა საბჭოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს



ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოში ინვესტორთა საბჭო შეიქმნება. ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი EBRD-ის პრეზიდენტმა სუმა ჩაკრაბატიმ და პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოაწერეს. პრემიერის შეფასებით, ეს ეტაპი საქართველოს მთავრობასა და ღ-ის მრავალწლიანი თანამშრომლობის ფარგლებში განსაკუთრებულია. მისივე თქმით, ინვესტორთა საბჭო ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, ქვეყანაში ინვესტიციების ზრდის მიმართულებით აქტიურად იმუშავებს: **„ინვესტორთა საბჭო მთავრობასა და ბიზნესს შორის შექმნის დიალოგის ახალ პლატფორმას და ხელს შეუწყობს საქართველოში ურთიერთთანამშრომლობის განვითარებასა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას. ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობა, ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. მთავრობასა და კერძო სექტორს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება, ასევე უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს, ქვეყანაში ხელსაყრელი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე ბიზნესგარემოს არსებობაში. მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს მთავრობა იმ კონკრეტული სფეროების იდენტიფიცირებას მოახდენს, რომლებშიც საქართველოს მთავრობის მოქმედებები და ბანკის მხარდაჭერა ბიზნესგარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაძლებელს გახდის. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყურადღებით განვიხილავთ და განვახორციელებთ იმ წინადადებებს, რომლებსაც ბიზნესსაზოგადოება შემოგვთავაზებს და რა თქმა, უნდა განხილვა მოხდება ინვესტორთა საბჭოს სხდომებზე. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში შიდა და გარეინვესტიციების ხელშეწყობის და შესაბამის სფეროებში პრაქტიკისა და კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით ჩვენი მთავრობა ასევე ითანამშრომლებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელობასთან, ასევე სხვა ინსტიტუტებთან. საქართველოს მთავრობის ძალისხმევა სწორედ ინვესტიციების ზრდის, კერძო სექტორის სტიმულირების და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენაა მიმართული. მოხარულები ვართ, რომ მემორანდუმის ფარგლებში ბანკი თავისი სტრატეგიის შესაბამისად მხარს დაუჭერს საქართველოს განვითარების გეგმის იმპლემენტაციას. ღ ასევე ითანამშრომლებს საქართველოს მთავრობასთან იმ სფეროებში, რომლებშიც მას შეუძლია საკუთარი გამოცდილების და ცოდნის გაზიარება".**

მისივე ინფორმაციით ინვესტორთა საბჭო 15 წევრისგან დაკომპლექტდება და მის საქმიანობას თავად უხელმძღვანელებს. საბჭოს შემადგენლობაში შევლენ როგორც ქართული და უცხოური ბიზნესასოციაციები, ასევე საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენი და კერძო სექტორის განვითარების სფეროში აქტიური, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

*„პირველი"*



## ქვემო ქართლში მყარი ნარჩენების პროექტის განხორციელების მიზნით 10 მლნ ევრო გამოიყოფა

ქვემო ქართლში მყარი ნარჩენების პროექტის განხორციელების მიზნით 10 მილიონი ევრო გამოიყოფა. აქედან 7 მილიონ ევროს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი შეღავათიანი სესხის სახით გამოყოფს, ხოლო 3 მილიონი ევრო შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (შიდა) გრანტს წარმოადგენს. შესაბამის სასესხო და საგრანტო ხელშეკრულებებს ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტმა სუმა ჩაკრაბარტიმ.

პროექტი მიზნად ისახავს ქვემო ქართლის რეგიონში ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობას, მყარი ნარჩენების ტრანსპორტირებისა და ნაგავსაყრელის ფუნქციონირებისთვის საჭირო ტექნიკის შეძენას.

ახალი ნაგავსაყრელი ქვემო ქართლის ხუთ მუნიციპალიტეტს: მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრიწყარო და წალკა მოემსახურება.

ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განმარტებით, პროექტის ხელმოწერით დაიწყო თბილისში ღ-ის ყოველწლიური შეხვედრის მუშაობა.

მისივე თქმით, კვირის განმავლობაში თბილისში ძალიან ბევრი შეხვედრა და ფორუმი გაიმართება, რომელიც უდავოდ გაზრდის საქართველოს ბიზნესცნობადობას.

*„პირველი"*

## შსს-მ პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ბრალდებით თურქეთის მოქალაქე დააკავა



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის დასავლეთ რეგიონალური განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თურქეთის მოქალაქე, 1990 წელს დაბადებული სავაშ ე. პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილზე, დროებით მფლობელობაში არსებული სასტუმრო „დენიზი"-ს და აღნიშნული სასტუმროს მეორე სართულზე მდებარე რესტორნის ფართებს გარკვეული თანხის სანაცვლოდ ქალბატონებს პროსტიტუციისათვის გადასცემდა. ასევე დადგინდა, რომ სავაშ ე-ს სხვადასხვა ეროვნებისა და ასაკის ქალბატონები პროსტიტუციისთვის საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავდა. სამართალდამცველებმა სასტუმროსა და რესტორანში მომსახურე პერსონალი და ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლით).

*„ვერსიანიუსი"*

# ჯონდი ბაღათურია ოპოზიციურ პარტიებს ემიჯნება და თინა ხიდაშელის წინააღმდეგ აქციებს გეგმავს

## გიორგი მარგველაშვილის თაოსნობით ოპოზიცია მთავრობას „დიდ კონფერენციაზე“ იბარებს



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**20-დან 25 მაისამდე შუალედში, ოპოზიცია, პრეზიდენტ მარგველაშვილის თაოსნობით, საარჩევნო თემატიკაზე დიდი კონფერენციას აანონსებს. ღონისძიებაზე პრემიერსაც იწვევენ და მისგან საბოლოო პასუხს ელიან — შეცვლის თუ არა ხელისუფლება საარჩევნო კოდექსს. ეს ერთადერთი საკითხია, რის გარშემოც თითქმის მთელი ოპოზიცია გაერთიანდა. როგორც ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, 26 მაისს ბიძინა ივანიშვილის სახლთან „გადაგდებული ხალხის აღლუმი“ მოეწყობა, 4 პარტიის მონაწილეობით. თუმცა აღმოჩნდა, რომ ოპოზიციურ მარშში ჯონდი ბაღათურია არ მონაწილეობს — იგი ცალკე აღლუმის მოწყობას, მხოლოდ საკუთარი პარტიის, „ქართული დასის“ იმედად, მთავრობის რამდენიმე წევრის წინააღმდეგ გეგმავს. „ვერსიის“ კითხვებს „დასის“ ლიდერი, ჯონდი ბაღათურია პასუხობს.**

— ამ ეტაპზე, ცნობილია, რომ საარჩევნო საკითხებზე კონფერენცია 20-დან 25 მაისამდე მოეწყობა. გვქონდა საკმაოდ ნაყოფიერი სამუშაო შეხვედრა პრეზიდენტის აპარატის მონაწილეობით. დავგეგმეთ ფორმატი, გამომსვლელები. ღონისძიების ორგანიზატორი თავად პრეზიდენტი იქნება. მოვიწვევთ მთავრობას, პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. გვინდა, მთავრობის მეთაურმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვას და თუ საარჩევნო რეფორმის ჩვენეულ ხედვას არ ეთანხმება, თავისი ვერსია წარმოგვიდგინოს. დამალვასა და ბუჩქებიდან ერთმანეთისთვის კენჭების სროლას, სჯობს, ცივილურად, პრეზიდენტის თანდასწრებით შევიკრიბოთ და გავარკვიოთ ურთიერთობა, ჟურნალისტებისა და საზოგადოების თვალწინ. თუმცა ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ მონახაზია, არც მოსაწვევები დაგვიგზავნია და არც გამომსვლელთა სია დაგვიზუსტებია.

**— რა იცით, რომ პრემიერი და პარტია „ოცნება“ ამ ღონისძიებას დაესწრება?**

— ჩვენ მოვიწვევთ, თუ არ მოვლენ და გაიბუტებიან, უბრალოდ, არასერიოზული იქნება. ამ ღონისძიებაზე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებიც იქნებიან.

**— ოპოზიციისვე თქმით, „ოცნება“ და პრემიერი ერთადერთია, ვინც კონტაქტზე არ გამოსულა. რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ საგაზაფხულო სესიის ბოლოს გამართულ არც ამ შეხვედრაზე დააფიქსირებს მმართველი გუნდი პოზიციას?**

— გაბუტულის პოზიცია ჩვენ არასოდეს გვქონია. მხოლოდ მათ აქვთ და ჩვენ როგორ გამოვასწოროთ? თუ ამ პოზიციაზე დარჩებიან, ესეც მათი არჩევანი იქნება. მერე რა, რომ საგაზაფხულო სესიების ბოლოსკენ მივდივართ — არჩევნებამდე ჯერ 1 წელია, ასე რომ, რეფორმის მოსწრება თავისუფლად შეიძლება. კონფერენციაზე კონსტიტუციონალისტებს, იურისტებს მოვიწვევთ. შეიკრიბება მთელი ელიტა, ვისაც პოლიტიკური და სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია რეფორმის განხორციელება- არგანხორციელების შესახებ. ყველამ თქვას, თუ რაიმე საწინააღმდეგო არგუმენტი აქვს და ყველაფერი გავარკვიოთ. ვფიქრობ, პრემიერი მოვა. არ მინდა, წინასწარ ვიძახო, პასუხს არ გაგვცემენ-თქო, ხომ შეიძლება, მმართველი გუნდი მოვიდეს და დაგვეთანხმოს — ვაცადოთ ხალხს!

**— ოპოზიციას გეგმა 26 მაისსაც ჰქონია. ერთ-ერთი ლიდერის თქმით, თქვენ, კახა კუკავა, გოჩა ჯოჯუა და ირაკლი ღლონტი ივანიშვილის ბიზნესცენტრთან „გადაგდებული ხალხის“ აღლუმის მოწყობას აპირებთ. ასეა?**

— 26 მაისს, მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილის სახლთან არავითარი აქცია არ იგეგმება. არც ჩამოთვლილ ადამიანებთან მაქვს რაიმე კავშირი. „ქართული დასი“ კი მართლაც გეგმავს აქციებს მთავრობის სხვადასხვა წევრის წინააღმდეგ. ის ხალხი, ვინც ახსენეთ, ამ აქციებთან კავშირში არაა, ზოგიერთის გვარიც კი არ გამიგია, არათუ მათთან ერთად ვგეგმავ რამეს.

**— მაინც ვისი გვარი არ იცით, ირაკლი ღლონტის?**

— დიახ, მართალი გითხრათ, ეგ ღლონტი ვინაა, არ ვიცი... არც ერთ მათგანთან არანაირი კავშირი არ მაქვს და არც მომავალში ვაპირებ. ახლა ისეთ რამეს მეუბნებით, რაც სასაცილოდ მიმაჩნია.

**— თქვენ უკვე გაქვთ კავშირი ინტერპარტიულ ჯგუფში, თუმცა ის უფრო საინტერესოა, ასე მონდომებით რატომ ემიჯნებით ამ ადამიანებს?**

— ჩვენი გზით დავდივართ, ჩვენი გეგმები და ხედვა გვაქვს მოკავშირეების შესახებ. ამ ხალხში კი მოკავშირეებს არც ახლა ვხედავ და ვერც მომავალში დავინახავ. თბილისში მილიონი კაცი ცხოვრობს და ყველასთან ერთად ხომ არ უნდა ვიარო, ვინც რაღაცას გამოისვრის?! გეუბნებით, ეს ხალხი ჩვენი ინტერესის სფეროში არ შედის.

**— მაშინ „ქართული დასის“ გეგმებზე მითხარით?**

— „ქართული დასის“ ახალგაზრდული ორგანიზაცია სწორედ ახლა მსჯელობს თემატური აქციების მოწყობაზე. პირველ რიგში, გამოიკვეთა ენერგეტიკის მინისტრი, რომელიც აშკარად თავის ფინანსურ-კომერციულ ინტერესებს ლობირებს და სურს, გაზის ტარიფი უკანონოდ გააძვიროს. პირველი აქცია, სავარაუდოდ, მის წინააღმდეგ მოეწყობა. შესაძლოა, სირცხვილის კორიდორიც მოვუწყოთ. აქცია იგეგმება თავდაცვის სამინისტროსთანაც — თინა ხიდაშელთან პრეტენზიების მეტი რა გვაქვს.

ვერსიანიუსი

# შსს აკადემია საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალშია



შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა „შსს აკადემია“ საქართველოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური სერია საკალათბურთო კლუბ „სოხუმს“ საერთო ანგარიშით 3:2 მოუგო. მომდევნო ეტაპზე გასასვლელად გადამწყვეტი, მეხუთე მეოთხედფინალური მატჩი გამოდგა, რომელშიც შსს-ს გუნდმა მეტოქე 74:71 დაამარცხა. „შსს აკადემიასა“ და „სოხუმს“ შორის პლეიოფის ყველა მატჩს თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა.

გუნდის ლიდერების პოზიციებს კვლავ გიორგი შარაბიძე, ნიკა მეტრეველი, გიორგი ცინცაძე და ბექა წივწივაძე ინარჩუნებდნენ. როგორც გუნდის მთავარი მწვრთნელი კოტე ტუღუში აცხადებს, „შსს აკადემია“ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია და უმთავრესი მიზანი პირველობისთვის ბრძოლაა.

მომავალი კვირიდან სუპერლიგის ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება, რომელთა დროსაც „შსს აკადემია“ „ბათუმს“ შეხვდება.

„შსს აკადემიას“ კალათბურთელებს შორის საქართველოს ნაკრების 5 მოთამაშეა. „შსს აკადემიას“ აქტივებში 2013 წლის საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულის ტიტულია, წელს კი ისინი ზურაბ საკანდელიძე-მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირის გამარჯვებულებიც გახდნენ.

*„ვერსიანიუსი“*





# შემჩნეული შეცდომების გასწორება

ლევან სეფისკვერაძე

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ბევრი ნიჭიერი და საინტერესო ადამიანი მოღვაწეობდა ჟურნალისტიკაში, მაგრამ მრავალმა პრობლემამ და უპირველეს ყოვლისა, უფულობამ, ნიჭიერ ჟურნალისტებს პროფესია შეაცვლევინა და ოჯახის რჩენის აუცილებლობამ ეს ხალხი იძულებული გახადა, საყვარელი საქმე მიეტოვებინათ.

ძველების წასვლამ და ახალგაზრდა ჟურნალისტების მოსვლამ ქართულ მედიას, სამწუხაროდ, სასიკეთო ხელი ნაკლებად დაატყო. უმაღლეს სასწავლებლებში ჟურნალისტიკის ფაკულტეტდამთავრებულებმა ხშირ შემთხვევაში წერა უბრალოდ არ იციან და ეს მთლად მათი ბრალი არაა. დღეს ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე (იმედია, ყველგან არა) კვლავ საბჭოური სტანდარტები მოქმედებს და საბჭოური ჟურნალისტიკის კლიშეებით თავგამოტენილი ახალგაზრდა, ბუნებრივია, ვერ უპასუხებს თანამედროვეობის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, სხვადახვა ქართულ მედიასაშუალებაში ხშირად ვნახულობთ ტექსტებს, რომელთა კითხვისას ადამიანს უჩნდება განცდა, რომ ავტორი, რბილად რომ ვთქვათ, ვერაა მოწოდების სიმაღლეზე.

აი, სწორედ ამ დროს, ასპარეზზე და წინა პლანზე გამოდიან „ის ბრძენი კაცი“ და მისი აზრების უპირობო გამზიარებლები და მერე მიდის ერთი წიოკი და ალიაქოთი, როგორ არ ვვარგივართ ჩვენ და როგორ არ გვესმის მათი სიდიადე, სიღრმე და სიკაშკაშე. არადა, ჟურნალისტებიც ამ დაქცეული ქვეყნის ნაწილს წარმოადგენენ და იქ, სადაც ასეთი „ხელიხელსაგოგმანები“ პარლამენტი და მთავრობაა, ასეთი ჟურნალისტების არსებობა ვითომ რატომაა გასაკვირი და ერის ტრაგედია?

ჟურნალისტიკაში არსებული პრობლემების კუთხით, უპირველესი მაინც ყველაფერი ძველის გაფეტიშება და სიახლეების შიში მგონია. მაგალითად, ამასწინ ერთ-ერთ ქართულ გაზეთში წავაწყდი სტატიას, სადაც ვკითხულობთ: „რატომ არ გვყავს დღეს სტალინზე დიდი პოლიტიკოსები? ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ჩვენ ნაადრევად ვთქვით უარი რუსეთთან ძმობაზე!“. არ დაგიმალავთ და, ძალიან დამაინტერესა ამ აბსურდული სტატიის ავტორის ვინაობამ. ახლობლებთან გადავამოწმე და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა როდესაც აღმოჩნდა, რომ ავტორი კომუნისტური ნოსტალგიებით აღსავსე მოხუცი კაცი კი არა, 19 წლის ბიჭი ყოფილა, რომელიც ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს და ასეთი „მარგალიტებით“ ამდიდრებს ისედაც მრავალი პრობლემით დახუნძლულ უბედურ ქართულ მედიას.

როდესაც ახალგაზრდა ბიჭი საბჭოთა კავშირს მისტირის (ნანახი მაინც ჰქონდეს, რა იყო და როგორ) და ამ ბოდვას ცრემლად ადინებს გაზეთის ფურცლებზე, იქ უკვე ჩნდება კითხვა, ვინ გამოულაყა ტვინი ამ ბიჭს და იზიარებენ თუ არა ამ შეხედულებებს მისი თანატოლები. ამ დროს კი უკვე ჩანს, რომ ასეთი პრობლემები გუშინ არ დაწყებულა.

არავის მოეთხოვება, ყოველ პატარა ტექსტსა თუ დიდ სტატიაში დიდი და ღრმა აზრები აფრქვიოს, მაგრამ იმდენი კი ყველამ უნდა მოვახერხოთ, რომ მავანმა თუ მკითხველმა ჩვენი ნაწერი სისულელეების გამო მთელ ჟურნალისტიკას არ მოსცხოს ჩირქი და ტრადიციულად არ დაიწყონ მოთქმა: „ამათ არაფერი იციან“, „საქართველოში ჟურნალისტიკა მოკვდა“, „ღმერთმა დასაჯოს ეს უტვინოები“...

თუმცა... ზოგიერთებისგან განსხვავებით, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია საკუთარი შეცდომების აღიარება და ხანდახან ავი საქმის მქნელ ფსევდოკოლეგებსაც ვამხელთ ხოლმე. მე იმ ხალხის რაობა უფრო მაინტერესებს, ვინც წიგნებს ფანჯრიდან ყრის, მერე კი რთავს კომპიუტერს, შედის აცებოოკ-ზე და ჟურნალისტებს ჭკუას ასწავლის...

# რა ხდებოდა ქობულეთში დაღუპული ბავშვების სამოქალაქო პანაშვიდზე

## ხანძრის დროს გარდაცვლილი დათოს მამა პირველ კომენტარს აკეთებს





ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

დღის 12 საათია, ნაწვიმარი. რუსთავისკენ მიმავალი სამარშრუტო ტაქსი სავსეა მგზავრებით. მათი უმეტესობა ბავშვები არიან. ისინი სამძიმარზე მიდიან. „მარშუტკაში“ მხოლოდ ორი სავარძელია თავისუფალი, თუმცა მგზავრები ფეხზე დგანან. სავარძლიდან წითელი ვარდების აღებას ვერავინ ბედავს. ამ ვარდებით შავოსანმა ქალბატონმა ქობულეთში დაღუპულ რუსთაველ ბავშვებს პატივი უნდა მიაგოს.

თბილისში საცობები იყო, რუსთავი კი თითქმის ცარიელია. ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძარში სამოქალაქო პანაშვიდი იმართება. ეკლესიის შუაგულში სამი სასახლეა დასვენებული. რეზის, თორნიკეს და დათოს სასახლეები. ბიჭები მხოლოდ 11 წლისები იყვნენ. სამივე ერთად დაიღუპა, სასახლეებიც ერთმანეთის გვერდით დგას. ჭირისუფლების ტევა არაა. ვერც სასანთლეები იტევს სანთლებს...



შვილმკვდარი დედების ტირილი მთელ ტაძარში ისმის და ცას სწვდება. მათ შორის ეკა ყველაზე ახალგაზრდაა, 32 წლის. რეზი მისი პირველი შვილი იყო. თორნიკეს დედა შეუძლოდ გახდა. ეკლესიაში ჩოჩქოლი ატყდა, ამბობენ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, დილითაც ცუდად გამხდარა. დათოს დედაც შეუჩერებლად ტირის — არ სჯერა, რომ შვილი ცოცხალი აღარ ჰყავს. ხან ერთ სასახლესთან მივა, ხან მეორესთან, ხანაც — მესამესთან. არ იცის, მათგან რომელშია მისი შვილი. ცხედრები ისე დაიწვა, მათი ამოცნობა ოჯახის წევრებმაც კი ვერ შეძლეს. იდენტიფიკაციისთვის რამდენიმე დღეა საჭირო.

მღვდლის განმარტებით, ბიჭებს მხოლოდ მას შემდეგ დაკრძალავენ, რაც სამხარაულის ექსპერტიზა დნმ-ის პასუხებს დადებს. შესაბამისად, ჭირისუფალმა ჯერ არც დაკრძალვის დღე იცის, არც ადგილი... ხალხი ამბობს, რადგან სამი ოჯახი ერთმა უბედურებამ გააერთიანა, კარგი იქნება, თუ ბიჭებს ერთად დაკრძალავენო...

ეკლესიის ეზოში შავებში შემოსილი შუახნის კაცები ერთმანეთს ტელეფონებს აწვდიან, დაღუპული ბიჭების გასადიდებელ ფოტოებს არჩევენ. რეზის მამა უხმოდ დგას. ხელებს ისრესს და ჩუმად ტირის. თითონ არის სანუგეშო, მაგრამ პერიოდულად, ტაძარში შედის და ახალგაზრდა მეუღლეს ანუგეშებს. ამბობენ, რეზის დაკრძალვა საგვარეულო სასაფლაოზე სურთო.

ეკლესიის ეზოში უამრავი ადამიანია. დილით უწმინდესი იყო ჩამობრძანებული, ერთ-ერთი დაღუპული დათო ზაქრაძე მოუნათლავი ყოფილა. ამბობენ, იდენტიფიკაციის შემდეგ, მონათვლის შესაბამის ცერემონიალს ჩაატარებენ. პატრიარქი გარდაცვლილი ბიჭების მშობლებსა და ოჯახის წევრებს შეხვდა, ანუგეშა და დალოცა. სამძიმრის სათქმელად მთავრობის წევრებიც მოვიდნენ. მათ შორის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანიშვილი... პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, დაღუპული ბიჭების ოჯახებს, კომპენსაციის სახით 10-10 ათასი ლარი გადაეცემათ. თანხაზე დღეს არავინ საუბრობს... სამაგიეროდ, იმაზე საუბრობენ, რამდენად იყო დაცული სასტუმრო „არმაზში“ უსაფრთხოების ნორმები. რუსთავის მერი დავით ჯიქია: **„სასტუმრო არანაირ ნორმებში არ ჯდებოდა. აქ, ელემენტარულად, იმის საშუალებაც კი არ იყო, ბავშვები ავარიული კიბით გასულიყვნენ. მიმდინარეობს გამოძიება. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს ვიტყვი, ექსპერტიზის პასუხებს უნდა დაველოდოთ“.**

სამძიმარზე ანსამბლის ხელმძღვანელი გოგი მარღანიაც იმყოფებოდა. წინა დღეს, პროკურატურაში მისი დაკითხვის პროცესი რამდენიმე საათს გაგრძელდა. მარღანია მომხდარის გამო მწუხარებას გამოთქვამს და ამბობს, რომ ბავშვებთან მიმართებაში მაქსიმალურად ფრთხილი და ყურადღებიანი იყო: **„ვცდილობდი, მაქსიმალურად ხშირად ვყოფილიყავი ბავშვებთან და თვალყური მედევნებინა. სხვისი შვილები მებარა. სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავი“.** იგივეს აცხადებს „ვერსიასთან“ საუბრისას ქორეოგრაფის მეუღლე: **„გოგის საუკეთესო უნდოდა თავისი ბავშვებისთვის. გვიან წვებოდა. ხანდახან 4 საათზეც. ისე არ დაიძინებდა, მათთვის არ დაეხედა... ძალიან ფრთხილი იყო. ტყუილია, თითქოს ხანძრის გაჩენის დროს ქეიფობდა და სვამდა — გოგის გულზე მძიმე ოპერაცია აქვს გადატანილი. არც სვამს, არც ეწევა“.**

სამოქალაქო პანაშვიდზე დაღუპული ბიჭების კლასელებიც მოვიდნენ და ისინიც, ვინც მათთან ერთად იყო ქობულეთში გასტროლზე. ბიჭების დაღუპვის ვერსიებს მათი თანატოლებიც კი განიხილავენ, თუმცა ყველა ერთ რამეზე თანხმდება — გოგი მასწავლებელი საუკეთესო პედაგოგია და მას მომხდარში არანაირი ბრალი არ მიუძღვის.

**„გოგი მასწავლებელი ყველაზე კარგი მასწავლებელია. ძალიან ვბრაზდებით, როცა ამბობენ, რომ სვამდა და ეწეოდა. ეს არ არის სიმართლე. ყურადღებიანია. ყოველთვის ზრუნავს ჩვენზე. ხშირად დავყავართ გასტროლებზე. მასთან ერთად თურქეთშიც ვიყავით. ძალიან გვიან იძინებდა ხოლმე. სანამ არ ნახავდა, რომ ყველანი კარგად ვიყავით, ისე არ დაწვებოდა. მას ნურაფერს დააბრალებთ, ძალიან კეთილი კაცია“,** — ამბობს ლიკა.

საუბარში 16 წლის მარიამი ერთვება. ამბობს, რომ სასტუმრო „არმაზში“ ადრე ნამყოფი იყო. მისი განცხადებით, სასტუმროს კედლები იმდენად თხელი იყო, რომ ძილის წინ ბავშვები ხშირად ერთმანეთსაც კი ესაუბრებოდნენ: **„მთელი სასტუმრო ხისგან და მეტალოპლასტმასისგან იყო აშენებული. კედლისთვის ხელი ძლიერად რომ გეკრათ, მეორე ოთახში აღმოჩნდებოდით. გოგი მასწავლებელი არაფერ შუაშია. ყურადღებიანია ძალიან. კარის დაკეტვას ყოველთვის გვიკრძალავდა. ამის გამო ერთ ბავშვს ერთხელ ძალიან გაუბრაზდა და მას შემდეგ არასოდეს ვკეტავდით კარს“.**

ტაძრის შესასვლელში ჩოჩქოლი ისმის. ჭირისუფლის მისასამძიმრებლად რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური მოვიდა. ხალხს იმედი გაუჩნდა, იქნებ რაიმე ახალი გავიგოთო, მაგრამ მთავრობის არც ერთი წევრი კომენტარს არ აკეთებს და ეკლესიას თვალცრემლიანი ტოვებს.

ეკლესიის ეზოსთან სასწრაფო დახმარების მანქანა და ტაქსებია მობილიზებული. გამწვანების სამსახურის თანამშრომელმა, მოხუცმა კაცმა, ეკლესიის ეზოს გარშემო ბალახის კრეჭა დაიწყო. ბალახის საკრეჭი მანქანის ხმა ეკლესიიდან გამოსული ტირილის ხმას ფარავს. ხალხმა ისევ იმატა. ფუსფუსიც გაორმაგდა. ბავშვების დაღუპვის ვერსიებს ისევ განიხილავენ. „სიხარული 2“-ის მოცეკვავეების მშობლები ეკლესიის სკვერში დგანან. თანხმდებიან, რომ ბიჭების დაღუპვა უბედური შემთხვევა იყო, თუმცა მომხდარის შესახებ განსხვავებულ ვერსიებსაც განიხილავენ. ერთ-ერთი მშობელი, თამილა ამბობს: **„ჩემი ორივე შვილი სასტუმრო „არმაზშია“ ნამყოფი. ისეთი თხელი კედლები ყოფილა, ბავშვებს გვერდით ოთახიდან ლაპარაკის ხმა ესმოდათ. სასტუმრო ხისგან იყო აშენებული. უსაფრთხოების ზომები რომ ყოფილიყო დაცული, ბავშვები არ დაიხოცებოდნენ, გინდ დაკეტილი ჰქონოდათ კარი და გინდა არა“.**

ქალბატონი მზიას აზრით, კარი ჩაკეტილი იყო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვების სიკვდილში დამნაშავე რომელიმე ოჯახის წევრია: „როგორც ვიცი, დათოს დამ ჩაკეტა კარი. იფიქრა, ცელქები არიან და სადმე არ წავიდნენო. მარტა თითონ უვლიდა ამ ბიჭს. მის გარეშე დათო არსად დადიოდა. მარტას დაყავდა სკოლაში, ცეკვაზეც... ბავშვები რადგან ჩაკეტა, არ ნიშნავს, რომ დამნაშავეა. მარტა დამნაშავე არ არის“.

მარტას მიერ კარის ჩაკეტვაზე აქტიურად საუბრობენ. დათოს ოჯახის ნათესავის განმარტებით, ოჯახი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, მარტა კი დათოს დედობასაც უწევდა: **„დათოს სკოლაშიც აკითხავდა, ცეკვაზეც დაჰყავდა. ქობულეთშიც მასთან ერთად იყო. ოჯახს ძალიან უჭირს. როგორც წესი, ასეთი სამდღიანი გასტროლები 100-150 ლარი ჯდება. დათო ამ გასტროლებს ყოველთვის აკლდებოდა. არ ჰქონდათ მშობლებს საშუალება, ყველგან გაეშვათ. როგორც ვიცი, ქობულეთშიც ნასესხები ფულით გაუშვეს. ნიჭიერი იყო, კარგად ცეკვავდა და მშობლებიც ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ხელი შეეწყოთ“.**

ეკლესიის შესასვლელთან, ხის სკამზე დათოს მამა ჩაფიქრებული ზის. ამბობს, ერთადერთი, რაც ახლა ყველაზე მეტად მინდა, გავიგო, ჩემი შვილი რომელ სასახლეში წევსო. მომხდარში ქორეოგრაფს არ ადანაშაულებს. ამბობს, რომ მისი შვილი უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა: **„დათო ჩემი შვილი იყო. ჩემი ნაწილი. საშინელება დაგვემართა, გონს ვერ მოვდივარ. არ მჯერა, რომ ასე მოხდა. არავის ვადანაშაულებ. ანსამბლის ხელმძღვანელთან ჯერ არ მისაუბრია. მოვა დრო, ალბათ მასაც ვნახავ, დაველაპარაკები“.**

ხანძრის გამომწვევ მიზეზებს გამოძიება დაადგენს და იმასაც, ვის რა წვლილი მიუძღვის მომხდარში. მანამდე კი, დაღუპული ბავშვების მშობლებისთვის, უმნიშვნელოვანესი ცხედრების იდენტიფიცირებაა, რათა ჭირისუფალმა თავისი მიცვალებულის დატირება და დაკრძალვა შეძლოს.



# რამდენად უსაფრთხოა ქობულეთში დასვენება

## საქართველოში საოჯახო სასტუმროებს არავინ ამოწმებს!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**10 მაისს, გამთენიისას, ქობულეთის სასტუმრო „არმაზში“ გაჩენილი ხანძრის გამო სამი ბავშვი დაიღუპა. გავრცელებული ინფორმაციით, ოთახში, სადაც მცირეწლოვნები იყვნენ, სავარაუდოდ, კონდიციონერს ცეცხლი გაუჩნდა. „ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად დაცულია უსაფრთხოების ნორმები საოჯახო ტიპის სასტუმროებში („არმაზი“ სწორედ ასეთი სასტუმრო იყო), განსაკუთრებით ტურისტული სეზონის წინ? კონკრეტულად, რა ტიპის ნებართვის მიღებაა საჭირო, რომ მოქალაქემ საოჯახო ტიპის სასტუმრო აამოქმედოს ან მისი რეკონსტრუქცია განახორციელოს? ზედამხედველობის სამსახურს, რომელიც შენობის ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს, კანონით იმის უფლებაც არ აქვს, საოჯახო სასტუმროები თუნდაც ტურისტული სეზონის წინ შეამოწმოს. ქობულეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ აშკარაა, რომ კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა დღის წესრიგში უნდა დადგეს, რათა ადგილობრივმა და უცხოელმა ტურისტებმა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საოჯახო ტიპის სასტუმროებში თავი დაცულად იგრძნონ!**




### მშენებლობის ნებართვის გაცემის წესი

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესსა და სანებართვო პირობებს, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილება არეგულირებს. ესაა საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღების პროცესი. დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების დადგენა ხდება შემდეგი პრინციპებით: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება; უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება; საკუთრების უფლების დაცვა-რეალიზაცია; საჯაროობა; პასუხისმგებლობის პრინციპი...

მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში და მის საფუძველზე გაცემულ სანებართვო მოწმობაში გაიწერება მშენებლობის ის ეტაპები, რომელთა დასრულებას სათანადო ოქმის შედგენა სჭირდება. დადგენილების თანახმად, განსაზღვრულია სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის სახეები, მათ შორის, მშენებლობის საავტორო ზედამხედველობა; მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა და მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობა, რომელიც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღების კონტროლს, ასევე უნებართვო ან კანონმდებლობის დარღვევით განხორციელებული მშენებლობის გამოვლენასა და მასზე კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირებას განსაზღვრავს.



დადგენილების მიხედვით, განხორციელებული მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღება ნიშნავს დასრულებული მშენებლობის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის საბოლოო დადგენას. შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღება შესაძლებელია, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად შესრულდა და არ არის დარღვეული სანებართვო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებები. შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველია: სანებართვო პირობების დარღვევა-შეუსრულებლობა; მშენებლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დადგენილი მეთოდებისა და ღონისძიებების შეუსრულებლობა ან განხორციელებული ღონისძიებების შეუსაბამობა წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების საბოლოო პროექტთან, უარყოფითი საექსპერტო შეფასება ან/და მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს. აჭარის ტერიტორიაზე ამ სააგენტოს ფუნქციას შესაბამისი ადგილობრივი სამსახური ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ სსიპ-ის ფუნქციები და უფლებები კანონით განსაზღვრულია და სამშენებლო ობიექტების სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობა ევალება, სააგენტოს უფლება არ აქვს, ესა თუ ის ობიექტი, სპეციალური განცხადების გარეშე შეამოწმოს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შესამოწმებელია მაგალითად, საოჯახო ტიპის სასტუმრო, რაც მცირე და საშუალო ბიზნესად ითვლება. სააგენტო მხოლოდ მაშინ შეამოწმებს საოჯახო სასტუმროს, თუ შესაბამის უწყებაში ამა თუ იმ ობიექტთან დაკავშირებით განცხადება ან საჩივარი შევა.

### „არმაზი“ ექსპლოატაციაში მიღების გარეშე მუშაობდა?!

ვინაიდან სასტუმრო „არმაზი“ ქობულეთში მდებარეობს, ამ სასტუმროს მშენებლობასთან დაკავშირებული დეტალები სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსთვის“ უცნობია. „ვერსია“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, **ზურაბ ამაღლობელს** დაუკავშირდა:

**— ბატონო ზურაბ, კანონით გაქვთ საოჯახო ტიპის სასტუმროს შემოწმების უფლება?**

— 2006 წელს, ამ სასტუმროს რეკონსტრუქციის ნებართვაზე განაცხადი შემოვიდა, რაც ნიშნავს, რომ ეს ნებართვა ხანდაზმულად ითვლება, რადგან 9 წელი გავიდა. დაახლოებით 4 თვეა, ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობას ვასრულებ, სასტუმროსთან დაკავშირებული მასალები უკვე არქივში იყო გადაცემული. ტრაგედიის მერე, მასალები მოვიძიე და ვნახეთ, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ ეს შენობა ექსპლოატაციაში აყვანილი არ ყოფილა. ზუსტად ვერ გეტყვით, ექსპლოატაციაში აყვანის გარეშე, ვინ ან როგორ დაარეგისტრირა ეს შენობა რეესტრში. ის, რაც რეკონსტრუქციის დროს პროექტით იყო გათვალისწინებული, სასტუმროს მფლობელს არ გაუკეთებია — სასტუმრო რკინა-ბეტონის კონსტრუქციით უნდა აშენებულიყო, მაგრამ რეალურად, ხისა და პლასტიკატის კონსტრუქციით აშენდა. ეს დარღვევაა. სამწუხაროდ, კანონით, ექსპლოატაციაში მიღებულ პროექტზე ზედამხედველობას ვერ ვახორციელებთ. შესაბამისი რეგულაციები არ არსებობს. მთავარი დარღვევაა, რომ სასტუმრო „არმაზი“ ექსპლოატაციაში აყვანილი არ ყოფილა, რადგან პროექტს არ შეესაბამებოდა.

**— პროექტის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის ან სანქციის დაწესების უფლება გაქვთ?**

— ექსპლოატაციაში ობიექტის მიღებისას, შენობა-ნაგებობა უკვე უნდა შეესაბამებოდეს ნებართვას, რომელიც პროექტზე გაიცა. თუ ასე არაა, დარღვევას ანუ პროექტიდან გადახვევას ვაფიქსირებთ და შემოწმების აქტს ვადგენთ, რაც 500 ლარით ჯარიმდება. მშენებელმა ობიექტი პროექტის მიხედვით უნდა ააშენოს, თუ არადა, პროექტში ცვლილება უნდა შეიტანოს. ზოგადად, ჩვენი კომპეტენცია იწყება მაშინ, როცა მუნიციპალიტეტის კანცელარიაში ნებისმიერი ფიზიკური პირი საჩივარს ან განცხადებას შემოიტანს და საქმე აღიძვრება. სხვა შემთხვევაში, უფლება არ გვაქვს, კერძო პირი შევამოწმოთ.

**— ფიქრობთ ეს სწორია? ტურისტული სეზონის დაწყებამდე საოჯახო სასტუმროებში ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების შემოწმების უფლება არ უნდა გქონდეთ?**

— ამ ტიპის შემოწმება ჩვენი სამსახურის კომპეტენციაში არ შედის. 2007 წელს, შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გამოსცა ბრძანებულება, რომელიც უსაფრთხოების წესების დაცვას ეხება და ეს სახანძრო სამსახურის ფუნქციაა. ოღონდ, სახანძრო სამსახურიც, საოჯახო კი არა, მხოლოდ ისეთ სასტუმროებს ამოწმებს, რომლებსაც 100 და მეტი სტუმრის მიღება შეუძლიათ. პროექტის ნებართვის გაცემისას კი, უშუალოდ, ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ტექნიკური ნორმები დაიცვას. რადგან კანონში მარეგულირებელი ნორმები არ არსებობს, ნებართვის გამცემი ორგანოებიც ამას ყურადღებას არ აქცევენ. უფრო სამშენებლო პროექტზეა გადატანილი ყურადღება, ვიდრე უსაფრთხოების დაცვაზე. კარგი იქნება, თუ კანონში ცვლილებები შევა და ასეთი ნორმების შემოღების საკითხი დღის წესრიგში დადგება.

**— როგორ ფიქრობთ, ქობულეთში საოჯახო ტიპის სასტუმროებში დასვენება უსაფრთხოა?**

— სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევებისგან არცერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული. საქართველოში ბევრი საკურორტო ქალაქია, ათეული წლებია ტურისტები ჩამოდიან, მაგრამ ასეთი შემზარავი ფაქტი აქამდე არ მომხდარა. უსაფრთხოების ნორმების დაცვა აუცილებელია. დიდ სასტუმროებში, სადაც დიდი ინვესტიციაა ჩადებული, ამგვარი პრობლემა არ არსებობს, საოჯახო სასტუმროებში კი სხვა ვითარებაა — მფლობელს მწირი ბიუჯეტი აქვს, საოჯახო ტიპის სასტუმროს კრედიტებით აწყობს და უსაფრთხოების ნორმებზეც ნაკლებად ფიქრობს. ჩვენს სამსახურს უფლება უნდა ჰქონდეს, ეს საკითხი გააკონტროლოს.

### აუცილებელია თუ არა საკანონმდებლო ცვლილება

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე **ზურაბ ტყემალაძე** „ვერსიასთან“ აცხადებს, რომ კანონში არავითარი ცვლილება არ იგეგმება. მისი თქმით, ზედამხედველობის სამსახურს, გნებავთ, სააგენტოს უფლება აქვს და ვალდებულიცაა, შეამოწმოს ობიექტი, მით უმეტეს, თუ რეკონსტრუქცია პროექტს არ შეესაბამება.

**— ბატონო ზურაბ, ზედამხედველობის სამსახურს საოჯახო სასტუმროების შემოწმების უფლება არ აქვს. კანონში ცვლილება აუცილებელია?**

— ბუნებრივია, როდესაც სასტუმრო აშენდა, რეკონსტრუქცია გაუკეთეს, მიაშენეს სართული თუ მოაშენეს, ყველაფერი უნდა გაკონტროლებულიყო. არ ვიცი, პროექტში დაუშვეს შეცდომა ან მშენებლობის დროს განხორციელდა თუ არა ზედამხედველობა, ამას გამოძიება დაადგენს, მაგრამ ექსპლოატაციაში მიღების შემდეგ, ზედამხედველობის სამსახურს ობიექტების შემოწმების უფლება არ აქვს და არც უნდა ჰქონდეს.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

პატიმარი №0578

# თაღლითობით აწყობილი სამშენებლო ბიზნესი

## როგორ გადაურჩა ბიზნესმენი პატიმარი „ქურდულ პრაგონს“



ციხეში სხვადასხვა დანაშაულებისთვის ხვდებიან. პრაქტიკულად, არ არსებობს მუხლი, რომლით გასამართლებული პატიმარიც ზონაზე არ შეგხვდება. პატიმრები ამით ხშირად ერთობიან, რადგან ვიღაც შეიძლება სისულელეზე იხდიდეს სასჯელს. მაგალითად, ერთ-ერთი პატიმარი მხოლოდ იმიტომ იჯდა ციხეში, რომ ნასვამი შემთხვევით საპატრულო მანქანას დაეჯახა და თავით მინა ჩაუმტვრია. პატრულმა იუკადრისა, ნასვამის დაკავება გადაწყვიტა და სახელმწიფო ქონების განზრახ დაზიანებისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლებით, შვიდწლიანი სასჯელი შეუფარდეს. ყველაზე საინტერესო „კასტა“ მაინც თაღლითები არიან. ოღონდ არა რიგითი თაღლითები, არამედ ისეთები, ეს საქმე ხელოვნების დონეზე რომ აქვთ აყვანილი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ თაღლითები არცთუ იშვიათად, თავიანთ მსხვერპლს ციხეში ხვდებიან და მაშინ იწყება, რაც იწყება. მოტყუებული მხარე თავის სამართალს უკვე გისოსებსმიღმა ეძებდა, თუმცა იშვიათად პოულობდა. „გოიმები არ ხდებიან, გოიმებად იბადებიან“, — ასეთი იყო ქურდული კარაბადინის ერთ-ერთი პუნქტი. თუმცა გამონაკლისებიც არსებობდა...

თბილისში, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მშენებელი ჯერ გლდანის ციხეში მოხვდა თაღლითობისა და ხალხის უბინაოდ დატოვების გამო, შემდეგ კი 30-წლიანი სასჯელით, რუსთავის №16 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს. მას არამარტო ცნობილი ადამიანები ჰყავდა მოტყუებული, არამედ ისეთებიც, რომლებმაც ბოლო ლუკმა გაიღეს. სწორედ ასეთი იყო გაგა, რომელიც სასჯელს წამალზე იხდიდა და როცა ზონაზე მერაბი გ. თავის ფეხით მივიდა, სიხარულით ცას ეწია. ჯერ მაყურებლებთან გაიქცა, მერე კი თბილისელ თავზეხელაღებულ ბიჭებს შეხვდა.

„სპორტის სასახლესთან აშენებდა ეს კაცი კორპუსს. ჩვენ იქ ბარაკებში ვცხოვრობდით, მე და მამაჩემი. დაგვპირდა, იგივე ფართს მოგცემთო, მანამდე ქირით გადადით, ბინის ქირას მე გადავიხდიო. გადავედით ქირით, ორი თვე ყველაფერი რიგზე იყო, მერე მე დამიჭირეს, ამან კი ქირის გადახდა შეწყვიტა... დღეს, მამაჩემს ხან რომელ მეტროში სძინავს, ხან რომელში. ის სახლიც აშენდა, მაგრამ ჩვენი ბინა სხვას მიყიდა. ყელი რომ გამოვჭრა, ღირსი არ არის? 30 წელი აქ ვერ გაძლებს და გარეთ კიდევ ამისიანები არაფრისმომცემები არიან“, — დაასრულა მონოლოგი გაგამ.

მერაბს მაყურებლებთან დაუძახეს. გაგიკვირდებათ და, გაგა ვერ იცნო, მაგრამ როცა ყვირილით აუხსნა, ვინ იყო, ჯერ მოიბუზა, მერე თამამად თქვა, რაღაც გაუგებრობა მოხდა, მამაშენს დღესვე უქირავებენ ბინასო. ეს „დღესვე“ ათი დღე გაგრძელდა. ათი დღის შემდეგ გაგამ მერაბს ყველას თვალწინ გაარტყა, მერე წიხლი ჩააზილა და პატიმრები რომ არ ჩარეულიყვნენ, დაახრჩობდა კიდეც. მერაბი ადმინისტრაციაში გაიქცა, ადმინისტრაციამ მაყურებლები დაიბარა და უთხრა, ეს კაცი ხელშეუხებელია, იცოდეთო.

„ხელშეუხებლობას ვერ შეგპირდებით. მარტო გაგა კი არა, ქურდების „პრაგონია“, ცოცხლად გაატყავეთო. ქურდების ოჯახის წევრები ჰყავს გადაყრილი და ახლა რა გინდა, ამას კარაქიანი პური ვაჭამო?! შანსი არაა... მე თუ არ „მივტისკე“, რომელიმე „კაიბიჭი“ მიახრჩობს სადმე და ქურდებთან ქულას დაიწერს. ან აქედან მიგყავთ, ან ამის სიცოცხლეზე პასუხს არ ვაგებთ“, — ასეთი იყო მაყურებლების პასუხი.

„სხვა ზონაზე წასვლა გამორიცხულია, იქ მართლა მოკლავენ, მთელი ქალაქი ჰყავს გამწარებული. მაშინ გაგას წაყვანა მოგვიწევს სხვაგან“, — გადაწყვიტა ციხის უფროსმა.

„სისულელეა. გაგას, ასე თუ ისე, გავაჩერებთ, ამ მერაბას ბინას ვაქირავებინებთ მამამისისთვის, თვეში 300 ლარი არ დააქცევს, 30 მილიონს ედავებიან, მაგრამ დამიჯერე, გაგა კი არა, სხვა პატიმრები მოუღებენ ბოლოს „ქურდების პრაგონის“ გამო“, — ჩუმად თქვა მაყურებელმა.

მერაბი კარცერში ჩასვეს, ეს იყო ყველაზე უსაფრთხო ადგილი და...

„ათ წუთში მზად იყავი“, — ღამის 11 საათზე პატიმარ №0578-ს ოფიცერმა ერთი წინადადება ჩუმად უთხრა.

„რა ხდება?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„არ ვიცი, ციხის „ნაჩალნიკმა“ თქვა, ჩაიცვას, საქმე მაქვსო. მეტი მართლა არაფერი ვიცი“, — ჩუმად თქვა ოფიცერმა.

„ეტაპში ხომ არ მიშვებთ?!“ — ისევ იკითხა №0578-მა.

„არ ვიცი-მეთქი. ისე, „ვარონკა“ მოაყენეს, ამიტომ, თუ რამე გაქვს წამოსაღები, ეგეც ცელოფანში ჩადე. თუ ეტაპი არ არის, ცელოფანს „კაზიოლს“ გამოვატანთ უკან“, — ურჩია ოფიცერმა.

ათ წუთში პატიმარი №0578 საკნიდან გაიყვანეს.

„რა ხდება, უფროსო?!“ — ჰკითხა ზონის დირექტორს.

„მე-16-ში მიდიხარ. აქვე, ორ ნაბიჯშია ხომ იცი?! სულ ერთი საათის საქმეა, ნახვა უნდათ შენი. ეგ ცელოფანი დატოვე, არ დაგჭირდება, ერთ საათში უკან მოგიყვანთ“, — უთხრა დაწესებულების ხელმძღვანელმა.

№0578-მა ჩუმად მოავლო თვალი ოფიცრებს, კბილებამდე შეიარაღებულ ბადრაგს შეხედა და გვერდით მდგომ ნაცნობ ოფიცერს გადაულაპარაკა: „თუ ამათ ახლა ჩემი გაყვანა უნდათ და მერე გარეთ იმის იმიტაცია, თითქოს გავრბოდი და მომკლეს, არ გამოვა ეგ საქმე. საკანში დავიბარე, ასე და ასეა, სადღაც მივყავარ- მეთქი და მაშინ, ჩემს გარდა, კიდევ 13 კაცის მოკვლა მოგიწევთ“.

„მართლა არ ვიცი, სად მიდიხარ. ერთი ეგ ვიცი, მე-16-ეს შეფი იყო მოსული და ჩვენს შეფს ელაპარაკა, მერე გადაწყდა შენი გაყვანა და წაყვანა. მგონი, პრობლემაა რაღაც და მოსაგვარებლად მიჰყავხარ“, — ჩურჩულით უპასუხა ოფიცერმა.

„სისულელეა. რომელი „პრისტუპნიკი“ და „კაიბიჭი“ მნახეს? ზონას მაყურებელიც ჰყავს და პალაჟენეციც. მაშინ იმათ წაიყვანდნენ“, — უპასუხა №0578-მა და „ვარონკაში“ ავიდა.

ათ წუთში მე-16 ზონის კარი გაიღო და პატიმარი №0578 ტერიტორიაზე შევიდა. „ვარონკა“ პირდაპირ ადმინისტრაციის ეზოში გაჩერდა, პატიმარი ჩამოიყვანეს და უფროსის კაბინეტში ააცილეს. კაბინეტში ზონის შეფი და მერაბი ისხდნენ.

„გაუმარჯოს, მერაბ. როგორ ხარ? ჩემებმა მითხრეს, დაიჭირეს და 30 წელი მისცესო. კარგად გამოიყურები, სულ არ გეტყობა ნერვიულობა“, — გაუღიმა №0578-მა.

„გამოდის, მერაბს იცნობ და თან კარგად, რადგან მისი დაჭერის ამბავი შენებმა გითხრეს“, — გაუხარდა ზონის უფროსს.

„ვიცნობ, ნათესავია ჩემი, მაგრამ შენ რატომ გიხარია ეგ ამბავი და ამას აქ რა უნდა ამ შუა ღამეს, მაგას ვერ ვხვდები“, — №0578-მა ორივეს გადახედა.

„მოკლედ, ასეთი სიტუაციაა. ეგ შენი მერაბა შეიძლება მოკლან და ნახევარი ზონა ამას აპირებს. მეორე ნახევარი სეირის მაყურებელია და ზოგადად, მაყურებლებმაც თქვეს, რომ ხელს ვერ დააფარებენ. ქურდების „პრაგონი“ ყოფილა, ცოცხლად გაატყავეთო. ჰოდა, ახლა შენ უნდა უშველო. მაყურებლები ნახე, ტელეფონს ჩაგირთავ, ფირმაში ქურდებს დაელაპარაკე და მოაგვარე ეგ საქმე“, — უთხრა ციხის დირექტორმა.

„შენ მე ან კალაშოვი გგონივარ, ან კიდევ ვიტო კორლეონე. რა მაყურებლებს დაველაპარაკო, რა ქურდებთან დავრეკო? გაგიჟდით, ხო? „პრაგონი“ თუ არის გატარებული, ეს კარცერში ჩააგდეთ, ადინოჩკაში და იქ იყოს, სხვა საშველი არ არის“, — უპასუხა №0578-მა.

„მომისმინე. ხომ იცი, აქ 30 წელი არავინ გამაჩერებს. 1-2 წელი და გარეთ ვარ. არ დაგიკარგავ პატივისცემას“, — ლამის მუხლებში ჩაუვარდა მერაბი.

„ჯერ ერთი, შენი ისტორია ვიცი. ისიც ვიცი, აქ რა ხდება. კიდევ ის, რომ გაგა ჩემი მეგობარია და ჩემი პატივისცემა თუ გინდა, მამამისი გაბომჟებული რომ არის, იმას უშველე და მეორეც — სიცოცხლე თუ გინდა, კარცერია საშველი. მაყურებლებს არაფერს ვეტყვი მარტივი მიზეზის გამო — არ მომისმენენ და ეს შენც იცი. ქურდებთან დარეკვას რაც შეეხება, ეგ საერთოდ აბსურდია. რა ვუთხრა, ეს კაცი თაღლითი და დედააფეთქებული კი არის, მაგრამ ჩემი ნათესავია და აპატიეთ, თქვენი ნათესავები და ოჯახის წევრები გარეთ რომ დატოვა-თქო?! ხვდებით, რამხელა აბსურდს მეუბნებით?!“ — აყვირდა №0578.

„გამოსავალს რაში ხედავ?!“ — ისევ ჰკითხა ციხის უფროსმა.

„კარცერი. სხვა ვარიანტი არ არის. შენ რაც მოგცა ამან დაცვისთვის, იმაზე ნაკლები ეყოფა კარცერში კომფორტი რომ მოიწყოს. მარტივია — 1-2 წელში თუ გადის, კი გაძლებს იქაც, სამაგიეროდ, ცოცხალი იქნება“, — გაუღიმა №0578-მა.

პატიმარი №0578 ზონაზე დააბრუნეს, გაგას მამას კი მეორე დღეს ბინა მართლა უქირავეს, თუმცა...

„გარეთ გამოვედი და იმან გადახდა შეწყვიტა. დავბრიდავ რომ გამოვა“, — გაგას №0578 ტელეფონით ესაუბრებოდა. მერაბმა ჭკუა იხმარა და მართლა კარცერში გადაინაცვლა. მერე კი იმდენი მოახერხა, რომ გარეთ გავიდა და... უკვე თავისუფლებაზე მყოფ №0578-ს ეწვია.

„როგორ ხარ, აბა? იცი, რა მინდა? ვიღაცები კიდევ დამდევენ და ცოტა უნდა მაცადონ, ამომასუნთქონ. ასე, 5-6 თვე და მერე ყველას დავაკმაყოფილებ. ბოლოს და ბოლოს, სამ ბინაზეა საუბარი“, — უთხრა №0578-ს.

„რომელ სამ ბინაზე? ასი კაცი მარტო ზონაზე იყო შენგან გადაგდებული, მეორე და მესამე ასი გარეთ იქნება და ეგ არის, გაგას მამას ბინას ვუქირავებო?“ — გაბრაზდა №0578.

„ვუქირავე, მაგრამ მერე გაგა გავიდა გარეთ და ახალგაზრდა კაცია, ხელი გაანძრიოს, ცოტა შემეხიდოს, რა“, — უთხრა მერაბმა.

„კიდევ თუ მოხვალ ჩემთან, მართლა მოგკლავ. იცოდე, გარეთ კარცერი არ არის და ის ციხის უფროსიც ველარ გიშველის“, — უთხრა №0578-მა.

* * *

მერაბი ისევ სამშენებლო ბიზნესშია, მის მიერ მოტყუებულ ხალხს კი მარტივად ეუბნება, რაც დავაშავე, იმისი მოვიხადე და რაღას მთხოვთო.

ვერსიანიუსი

## შსს-ს წარმომადგენლები ყარაჯალელი მოსწავლეებს შეხვდნენ



შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში, გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლაში უფროსკლასელებთან შეხვედრა ჩატარდა, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეები სწავლობენ.

შსს-ს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები მოსწავლეებს ოჯახში ძალადობის, ადრეულ ასაკში იძულებით ოჯახის შექმნის და არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის საკითხებზე ესაუბრნენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. ყარაჯალის სკოლის მოსწავლეების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ადრეულ ასაკში ოჯახის შექმნის სამართლებრივმა ასპექტებმა, რის შესახებაც შსს-ს წარმომადგენელმა მათ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. შეხვედრის მიზანი იყო მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მოზარდების ცნობიერების ამაღლება და არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია 1 მაისიდან დაიწყო. კამპანიის მიზანია საზოგადოების ინფორმირებულობა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ფორმების და მოქალაქეების უფლებების შესახებ, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობის გზით. კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტი „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ხორციელდება როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების საჯარო სკოლებში, მათ შორის, არაქართულენოვან სკოლებში.

*„ვერსიანიუსი“*

## შსს-მ სიღნაღში 16 527 ცალი საბრძოლო ვაზნა და უკანონო პისტოლეტი ამოიღო



შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში, მოქალაქის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას, 16 527 ცალი საბრძოლო ვაზნა, „ტე-ტეს“ ტიპის არარეგისტრირებული პისტოლეტი 2 მჭიდით და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 4 მჭიდი ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა სროლისთვის ვარგისია.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

*„ვერსიანიუსი“*

# თორნიკე შარაშენიძის სკანდალური პროგნოზები

## „მაიდანი საქართველოში შესაძლოა რუსული ჯარის შემოყვანით დასრულდეს“



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ევრაზიულ კავშირს 31%, ნატო-ს 65%, ხოლო ევროკავშირს 68% ირჩევს. ეს შედეგი NDI-ს ბოლო გამოკითხვამ აჩვენა, რომლის მიხედვით, გამოკითხულთა მესამედზე მეტს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ევროპასთან ასოცირების შესახებ, მესამედზე მეტს კი ჩვენი ქვეყნის გაწევრიანება ევრაზიულ სავაჭრო კავშირში სურს. ბევრი არც ამ კვლევით ორგანიზაციას ენდობა და იმასაც ამტკიცებს, რომ ხალხს ევრაზია და ევროკავშირი ხშირად ერთმანეთში ერევა, თუმცა ეს დამშვიდების საფუძველს ალბათ არ იძლევა. რატომ შეიცვალა მოსახლეობის განწყობა საგარეო კურსთან მიმართებაში და არის თუ არა ეს პროცესი საკმარისი პირობა, ცოტა ხანში თბილისური მაიდანი ვიხილოთ — „ვერსიისთვის“ საინტერესო ანალიზი GIPA-ს პროფესორმა, ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის ყოფილმა დირექტორმა და საგარეო პოლიტიკის სპეციალისტმა, თორნიკე შარაშენიძემ გააკეთა.**

**— NDI-ს ბოლო კვლევით, ევრაზიულ კავშირში შესვლის სურვილი გამოკითხულთა მესამედზე მეტს ჰქონია. ძველ კვლევებს თუ ავიღებთ, რუსეთს მხოლოდ 10-12% ირჩევდა და ეს მაჩვენებელი გასამმაგებულია. რა მოხდა?**

— ეს ჯერ განაჩენი არ არის, მაგრამ ალბათ, პროცენტული მაჩვენებელი კიდევ გაიზრდება, რადგან ამისთვის მშვენიერი პირობები არსებობს. პრორუსული ორგანიზაციები, რომლებიც პირდაპირ რუსული სპეცსამსახურებიდან ფინანსდებიან, გააქტიურდნენ. მათ კომფორტული გარემო აქვთ შექმნილი და რეალურად, მათ მოწინააღმდეგეებს უფრო ავიწროებენ. რუსული საინფორმაციო არხებიც ჩართულია და არც მათ გამორთვას ფიქრობს ვინმე.

**— სხვათა შორის, ამავე გამოკითხვით, უცხოურ არხებს შორის ყურებადობით, სწორედ რუსული არხები ლიდერობს. ეს რას ნიშნავს?**

— აქ საქმე მარტივადაა, რადგან უფროს თაობას, რომელმაც უცხო ენებიდან მხოლოდ რუსული იცის, რუსული არხების ყურება ურჩევნია. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ რუსული გასართობი არხები და ესტრადა, ხარისხის თვალსაზრისით, ქართულს სჯობს. ეს მხოლოდ ჩვენი კი არა, სხვა ქვეყნების პრობლემაცაა — ამ პლუსს რუსული მედიასაშუალებები კარგად იყენებენ და მაგალითად, „რაშა თუდეიმ“ თავისი დეზინფორმაციული კამპანიით მთელი მსოფლიო წალეკა. გვესმის კატასტროფულად არასწორი არგუმენტი, ეს დემოკრატიის ნაწილია და რუსულ არხებს ვერ გავთიშავთო. თუმცა რაზეა საუბარი, როცა ჯერ ერთი, საქმე ოკუპანტი ქვეყნის არხებს ეხება და მეორე — ისინი არღვევენ ყველა ფუნდამენტურ პრინციპს, ავრცელებენ დეზინფორმაციას, ცილს სწამებენ, ისმის ძალადობრივი მოწოდებები. ამ არხების სამართლებრივი არგუმენტით გათიშვა თავისუფლად შეიძლება, მაგრამ პოლიტიკური ნება არ არსებობს. ამ პირობებში, პრორუსული განწყობა უფრო გაიზრდება, თუმცა არ მგონია, 40%-ს გადააჭარბოს, თანაც, ალბათ, გამოკითხულთა ნაწილმა ისიც არ იცის, საერთოდ რა არის ევრაზიის კავშირი.

**— ეს არგუმენტიც მოვისმინე, რომ გაზრდილი მაჩვენებელი ცუდად ჩატარებული კვლევის შედეგია და ბევრს ევრაზიული კავშირი ევროკავშირში აერიაო.**

— არაა გამორიცხული, მაგრამ ეჭვი მაინც არ მეპარება, რომ ე.წ. პრორუსული სეგმენტი გაზრდილი იქნება.

**— როგორ ფიქრობთ, რეალურად, ამას ხელს თუნდაც გოგი თოფაძის ან ბიძინა ივანიშვილის განცხადებები შეიძლება უწყობდეს, თუ ეს მხოლოდ პოლიტიკური ლირიკაა?**

— მსგავსი განცხადებები მარტო ხალხზე კი არ მოქმედებს, რუსეთთან დაძმობილების მომხრეებსაც ათამამებს. გოგი თოფაძის განცხადებებზე უფრო შემაშფოთებელი ისაა, რომ კოალიციაში მისი ნათქვამი არავინ დაგმო. ეს უფრო უარესი სიგნალია პრორუსული ძალებისთვის, რომლებიც ახლა ფიქრობენ, რომ „ქართული ოცნებაც“ პრორუსულია. „ოცნებაში“ ასეთი პარტიები რომ იყვნენ, არც დაუმალავთ და 2012 წელსაც ვიცოდით. ახლა საქმე ისაა, მოიპოვებენ თუ არა ისინი კონტროლს კოალიციაში, რაც პარლამენტში, ალბათ, გაუჭირდებათ. მადლობა ღმერთს, იქ ნაციონალები, ალასანიას პარტია და რესპუბლიკელები არიან. მთავარი კითხვა ახლა ესაა — მოიპოვებენ თუ არა პრორუსული ძალები კონტროლს პარლამენტზე. თუმცა, რომც მოიპოვონ, ჯერ გააქტიურებას მაინც ვერ გაბედავენ, რადგან მოსახლეობის ყველაზე დიდი, მობილიზებული, მოტივირებული და განათლებული ნაწილი პროდასავლურია და ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლას არ დაუშვებს. მერე შეიძლება მაიდანი მოხდეს, „ოცნებამ“ კი ყვირილი დაიწყოს, ყველაფერი ნაციონალებმა დაიწყესო.

**— ვერ გავიგე, რატომ უნდა მოეწყოს მაიდანი, თუკი მოსახლეობის მესამედს ევრაზიულ კავშირში შესვლა სურს. მოვლენებს ასე ვინ შეცვლის, კრიტიკული უმცირესობა?**

— ქვეყანაში მართლა მაიდანს მივიღებთ და ეს ოპოზიციის ბრალი არ იქნება. ამას კი სტუდენტობა, განათლებული ადამიანები, არასაბჭოური გაგებით ინტელიგენციის წარმომადგენლები არ დაუშვებენ. თავისი არსით, მაიდანი არის გზა, მშვიდობიანად აიძულო ხელისუფლება, საგარეო კურსი შეცვალოს.

**— თუმცა ახლა მაიდანი, „ნარინჯისფერ წარმატებაზე“ მეტად, ომსა და სისხლისღვრასთან ასოცირდება.**

— მერედა, ვინ მიიყვანა სისხლისღვრამდე ვითარება — პრორუსულმა ხელისუფლებამ უკრაინაში! მაიდანი საქართველოში, ბუნებრივია, კატასტროფის ტოლფასი იქნება, რადგან შესაძლოა, ყველაფერი რუსული ჯარის შემოყვანით დასრულდეს. არგუმენტი კი ის იქნება, რაც კიევში მოხდა, იგივეს თბილისშიც ვერ დავუშვებთო.

**— პრობლემის სათავე არასათანადო იფნორმირებაშია. გამოკითხულთა 30%-მა საერთოდ არ იცოდა, რას ნიშნავს ევროპასთან ასოცირება. თუკი ამდენი პროდასავლური ძალა და ძლიერი ოპოზიციაა ქვეყანაში, სადაც ასოცირების ხელმოწერის მერე დიდი საინფორმაციო კამპანია იგეგმებოდა, სადაა ახლა ეს დუღილი?**

— ვერანაირ დუღილს ვერ ვხედავ. ამ ეტაპზე, ეს საქმე, უწყებრივად, ევროატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატს ევალება. ეს აპარატი კი ძალიან მცირეა, მას მხოლოდ ევროკავშირისა და ნატო-ს საინფორმაციო ცენტრები და რამდენიმე ფილიალი აქვს. ეს კი საქმეს ვერ უშველის, როცა უმრავლესობის ცნობადი და გავლენიანი დეპუტატი თოფაძე, რომლის ლუდს ბევრი უფულო ადამიანი სვამს, ასეთ განცხადებებს აკეთებს! სხვა უწყებები კი თავს არც იწუხებენ. 2006 წელს, როცა მხოლოდ ნატო-ს საინფორმაციო ცენტრი არსებობდა და მისი დირექტორი ვიყავი, ბევრად მეტი მხარდაჭერის პირობებში, ძალიან ბევრი და რთული სამუშაო გვქონდა. ახლა კი აღარც ეს მხარდაჭერა არსებობს. ფაქტია, ქვეყანაში დღესაც ინფორმაციული ვაკუუმია, რომლის ამოსავსებად მხოლოდ ერთი მცირე უწყება მუშაობს. წარმოიდგინეთ, ნაციონალური მოძრაობა სოფლებში რომ წავიდეს და ქადაგება დაიწყოს, დასავლეთი კარგიაო, შეიძლება, ხალხში აგრესია უნდა გამოიწვიოს. ვისაც ეს პარტია არ უყვარს, უკურეაქცია ექნება — რადგან შენ ამბობ, რომ რაღაც კარგია, ე.ი. სინამდვილეში ცუდიაო. ირაკლი ალასანიას პარტიას ამის რესურსი საერთოდ არ გააჩნია, არც რეგიონული ოფისები აქვს, ინფრასტრუქტურული პრობლემები აქვს რესპუბლიკურ პარტიასაც. ვფიქრობ, ამ ეტაპზე, ყველა ეს ძალა შიდაპარტიულ ბრძოლაზეა გადართული და ამასობაში, საგარეო კურსი მესამე და მეოთხე ადგილზე იწევს.

**— მაშინ არ მესმის, თუკი ასეთი სასათბურე პირობები აქვს და ხელისუფლების კურსიც პრორუსულია, ამის დეკლარირება რატომ არ ხდება?**

— ამ ეტაპზე, ამას ღიად ვერ გააკეთებენ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზოგიერთი ქართული საინფორმაციო საშუალება, დასავლური ფასეულობების დისკრედიტების მიზნით, აქტიურად მუშაობს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ევროპაში ერთსქესიანთა ქორწინებას დაგვაძალებენ, ქართველობას წაგვართმევენ და ა.შ. ეს გაცილებით სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ჭყოიძის ერთი ორგანიზაცია. თუმცა მსგავსი წვრილ-წვრილი ორგანიზაციებიც ნელ-ნელა გააქტიურდნენ და უკვე გამოსცეს ბიულეტენი, რატომაა ცუდი ნატო. ადრე „ოცნების“ პოლიტიკას იმით ვხსნიდი, დროის მოგება, რუსეთის გაჩერება და დაწყნარება სურთ-მეთქი, თუმცა ახლა ამ პოლიტიკის შედეგებსაც ვიმკით. პროცესის შეჩერება პარლამენტარებს, პოლიტიკოსებს ცნობილ სახეებს თავად უნდა უნდოდეთ. არც 2006 წელს იკლავდნენ თავს ხალხის ინფორმირებით, მაგრამ რამდენიმე დეპუტატმა მოსახლეობასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა, გამგებლებმა გარკვეული ღონისძიებები დააფინანსეს. ახლა კი მსგავს ენთუზიაზმს ვერავის ვატყობ. ეს კამპანია, კარგი გაგებით, პოპულისტური უნდა იყოს — ცნობილი სახეებითა და მარტივი ლოზუნგებით.

**— ჩანს, ის მითიც გაცოცხლდა, რომ საქართველოს ევროკავშირში შესვლა რუსეთს ნაკლებად გააღიზიანებს, ვიდრე ნატო-ში.**

— ეს მითი ხომ ვერა და ვერ წაიშალა ხალხის მეხსიერებიდან და ახლა ახალი გაჩნდა: ევრაზიულ კავშირში თუ შევალთ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაგვიბრუნებენ, ნატო-ში შესვლით კი ამ ტერიტორიებს სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ. როგორც ჩანს, ამ მესიჯების გამზადებაზე კარგად იმუშავეს, რადგან ამდენი ხანია, მოსახლეობას ეს სისულელე ტვინიდან ვერაფრით ამოუშალეს. ნაციონალების დროსაც ასე იყო, თუმცა დეზინფორმაციის ამ საშუალებების ნაწილს მაინც ახშობდნენ. ახალგაზრდა თაობა პროგრესულია, რუსული საერთოდ არ იცის, კარგი ცხოვრება უნდა. მათ ინფორმირებულობის პრობლემა არ ექნებათ, რადგან მარტივად, ინტერნეტით ნახავენ, რა არის რუსეთი და რა დასავლეთი. ისიც ფაქტია, დრო პროგრესისა და დასავლეთის სასარგებლოდ მუშაობს. ჩვენი მთავარი პრობლემა ახლა ისაა, როგორმე, მოკლევადიან პერსპექტივაში გადავრჩეთ.

**— თუმცა არჩევნებზე სწორედ ძველი თაობა დადის და როგორც მესმის, მოკლევადიან პერსპექტივაში 2016 წლის მომავალი საპარლამენტო არჩევნები იგულისხმება. რას ელით ამ არჩევნებისგან?**

— იმედი მაქვს, 2016 წლის მერე კოალიციური მთავრობა გვეყოლება, რაღაცები უფრო დაბალანსდება და ამ მთავრობაზე ივანიშვილის ფაქტორი ნაკლებ გავლენას მოახდენს. იმის იმედიცაა, რომ 2016 წლამდე საარჩევნო კოდექსი შეიცვლება. პრეზიდენტი და ჩემი ყოფილი უფროსი, გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ძალიან ჯიუტი კაცია, ახლა ამ საკითხს აქტიურად ლობირებს და იმედია, ცვლილებების გატანას რქებით მიაწვება. ვიცი, ამ თემაზე რესპუბლიკელები და ინტერპარტიული ჯგუფიც მუშაობს. მოკლედ, საარჩევნო კოდექსს მაინც თუ შეცვლიან, ამ მთავრობას ყველა შეცდომას ვაპატიებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მძიმე არჩევნებს მივიღებთ და ყველაფერი კატასტროფით დასრულდება.



# რამდენად უსაფრთხოა ქობულეთში დასვენება



*მე-5 გვერდიდან*

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონით, თუ სასტუმრო 100 ან მეტადგილიანია, მასზე ზედამხედველობის უფლება სახელმწიფო-სახანძრო ზედამხედველობის სამსახურს აქვს. თუ სასტუმროში 100 ადგილზე ნაკლებია, საოჯახო ტიპის სასტუმროდ ითვლება და მასზე ზედამხედველობას უშუალოდ მეპატრონე, მენეჯმენტი ახორციელებს. ამბობენ, სასტუმრო „არმაზი“ სწრაფად აალებადი, ხისა და პლასტმასის მასალით იყო აშენებული. თუ პროექტის მიხედვით, მფლობელს ასეთი მასალით აშენების უფლება მისცეს, აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული, შენობა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით დაეფარათ. როგორც ჩანს, არც ამ მასალით მშენებლობა ყოფილა შეთანხმებული და ისიც აშკარაა, რომ სასტუმრო ხანძარსაწინააღმდეგო მასალითაც არ დაუფარავთ.

**— თუ საოჯახო სასტუმროს რეკონსტრუქცია პროექტს არ შეესაბამება, ზედამხედველობის სამსახური როგორ უნდა მოიქცეს?**

— ფაქტი თავიდანვე უნდა აღიკვეთოს. ზედამხედველობის სამსახურს უფლება აქვს, მშენებლობა ხარვეზების გამოსწორებამდე შეაჩეროს. მეტიც, იმის უფლებაც აქვს, მეწარმეს შენობა დაანგრევინოს!

**— დეტალებს გამოძიება დაადგენს, მაგრამ აშკარაა, „არმაზის“ რეკონსტრუქცია პროექტს არ შეესაბამებოდა.**

— მერე, ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ახლა რომ მოიძია ეს მასალები, თავის დროზე აღეკვეთა ფაქტი.

**— რეკონსტრუქციის ნებართვა 2006 წელს გაიცა. შესაძლოა, გასულ წლებში ბევრი ისეთი ნებართვაა გაცემული, რომელიც პროექტს არ შეესაბამება და ზედამხედველობის სამსახური დღეს როგორ მოიქცეს?**

— ვალდებულია, ექსპლოატაცია შეაჩეროს, თუ იცის, რომ პროექტი დარღვეულია!

**— თუ საჩივარი არ შევა მერიაში, სამსახურს შემოწმების უფლებაც არ აქვს და იქნებ, კანონში გარკვეული ცვლილებაა აუცილებელი?**

— დავუშვათ, საკუთარ სახლში ფანჯრის უნებართვოდ გადიდება მინდა. თუ ვინმემ არ მიჩივლა, გგონიათ, ზედამხედველობის სამსახური არ მოვა და არ მეტყვის, ფანჯარას რომ ადიდებ, პროექტს არღვევო? თუ პროექტი დარღვეულია, ზედამხედველობის სამსახურს ნებისმიერ დროს აქვს უფლება, შესაბამისი ზომები მიიღოს! მას შეუძლია, ექსპლოატაციაც კი შეაჩეროს, ვიდრე ეს ხარვეზი გამოსწორდება. პირდაპირ ვთქვათ, „არმაზი“ პლასტმასით იყო აშენებული. ეჭვი მეპარება, დარღვეული პროექტით ექსპლოატაციაში მიეღოთ...

**— დიახ, „არმაზი“ ექსპლოატაციაში არც მიუღიათ.**

— იმ შემთხვევაში, თუ სასტუმრო ექსპლოატაციაში მიღების გარეშე მუშაობს, ზედამხედველობის სამსახურის პირდაპირი მოვალეობაა, მისი მუშაობა ყოველგვარი შემოწმების გარეშე შეაჩეროს!

რას ფიქრობენ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები? აუცილებელია თუ არა კანონში შესაბამისი ცვლილებები, რათა ზედამხედველობის სამსახურმა საოჯახო ტიპის სასტუმროები შეამოწმოს? საპარლამენტო ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი **გიორგი ვაშაძე** „ვერსიასთან აცხადებს, რომ ეს საკმაოდ საფრთხილო თემაა, რომელსაც დაფიქრება სჭირდება: **„სასტუმრო „არმაზი“ ანუ ჰასანას სასტუმრო, ერთ-ერთი, ყველაზე ძველი სასტუმროა, რომელიც მაშინ აშენდა, როდესაც ზედამხედველობის სამსახურს ყველანაირი კონტროლის უფლება ჰქონდა. არ მინდა სპეკულაცია თემაზე, დაირღვა თუ არა გარკვეული ნორმები, მაგრამ თუ ასე მოხდა, გიმეორებთ, ეს სასტუმრო მაშინ აშენდა, როდესაც ზედამხედველობის სამსახურს ბევრი უფლება ჰქონდა. უკრაინის მთავრობას ჩვენ სრულიად ახალი მიდგომა, თვითრეგულირებადი მექანიზმები შევთავაზეთ. ეს ნიშნავს, რომ მშენებლობის ნებართვა არა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულმა არქიტექტურის სამსახურმა, არამედ კერძო არქიტექტურის საბჭოებმა უნდა გასცენ. ასეთი რამდენიმე საბჭო უნდა შეიქმნას, რომ ბაზარზე კონკურენცია იყოს. მეორე მხრივ, უნდა არსებობდეს ვალდებულება — თუ მესამე, მეოთხე და მეხუთე კატეგორიის (მაღალსართულიანი და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები) მშენებლობაა, აუცილებლად ჰყავდეს სამშენებლო ზედამხედველი, ოღონდ ესეც კერძო პირი იქნება. როდესაც ასეთი ფუნქცია სახელმწიფოს აქვს, ის ატროფირებას განიცდის და კორუფციის წყარო ხდება“.**

# „თურქული ნაკადის“ შუქ-ჩრდილები და ამერიკელთა „ცისფერი ოცნება“



ზურაბ გარაყანიძე
ეკონომიკის დოქტორი

**2014 წლის 25-28 მარტს, „ფორ.გე“-ზე გამოვაქვეყნეთ 4 წერილი, სადაც შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ „...სულ უფრო აქტუალური ხდება ამერიკული თხევადი გაზის ევროპაში ექსპორტის რაც შეიძლება სწრაფად დაწყების თემა, რათა ბრიუსელი ნაკლებად იყოს გეოპოლიტიკურად დამოკიდებული რუსულ ენერგორესურსებზე. ზოგიერთ პუბლიკაციაში, აშშ-დან თხევადი გაზის ევროპაში ექსპორტის დაწყება არა მარტო უკრაინის, არამედ ლამის გლობალური უსაფრთხოების შესანარჩუნებელ „პანაცეადაა“ მიჩნეული“. იქვე მივუთითებდით, რომ 2013 წლის ბოლოსთვის, აშშ-დან თხევადი გაზის ექსპორტის ლიცენზია მხოლოდ ორ კომპანიას ჰქონდა და ამიტომ ევროპის ენერგობაზარზე „გაზპრომისადმი“ კონკურენციის გამწვავება, მით უფრო მას შემდეგ, რაც რუსეთმა უკრაინაზე ტრანზიტის შეწყვეტა და ახალი „თურქული ნაკადის“ პროექტი დააანონსა, მოსალოდნელი არ იყო, თუმცა საექსპორტო ლიცენზიის „მაძიებელთა“ რიცხვი აშშ-ში სწრაფად იზრდება. ამიტომ ამ ქვეყნიდან, 2016 წლიდან, თხევადი გაზის ევროპაში ექსპორტი არა მარტო „გაზპრომს“, არამედ, საქართველოზე გამავალ ევროკავშირის „გაზის მეოთხე დერეფანსაც“ ემუქრება.**

## ამერიკელთა „ცისფერი ოცნება“

ა/წლის 26 აპრილს, „ტელეგრაფმა“ დასტამბა ამბროს ევანს-პრიტჩარდის წერილი: „აშშ გლობალური ენერგოდომინანტობის მიზნით, გაზის ექსპორტის ბლიცში ებმება“. სტატიაში მითითებულია, რომ წელს, აშშ-ს ენერგეტიკული დეპარტამენტი ემზადება თხევადი გაზის ექსპორტის ნებართვების მასობრივად გაცემისთვის, იმ მიზნით, რომ მსოფლიო გაზის ბაზარზე შეამციროს რუსეთის დომინირება (ბოლო მონაცემებით, „გაზპრომს“ ევროპის გაზის ბაზრის 39% უკავია). „ტელეგრაფს“ მიაჩნია, რომ ამით აშშ ენერგობაზარზე თხევადი გაზის გეოპოლიტიკურ „ღვარცოფს“ გამოიწვევს.

აშშ-ს ენერგეტიკის მდივნის, ერნესტ მონიზის ინფორმაციით, აშშ-ში ამჟამად თხევადი გაზის ოთხი ტერმინალის მშენებლობა დამამთავრებელ სტადიაზეა. როგორც მან ქ. ჰიუსტონში (ტეხასი) ენერგოსამიტზე გამოსვლისას განაცხადა, გაზის ტანკერებით ტრანსპორტირების პირველი „ტალღა“ უკვე ამ წლის ბოლოს დაიწყება. მისივე აზრით, ამ ათწლეულის ბოლოსთვის თხევადი გაზის ექსპორტით, აშშ ყატარს გაუთანაბრდება, რომელიც დღეს თხევადი გაზის მსოფლიოს უდიდესი ექსპორტიორია. ეს ქვეყანა წლიურად 100 მლრდ კუბმეტრი გაზის ექსპორტს ახდენს. მას მალე დაეწევა ავსტრალია, რომელიც „გორგონის“ გიგანტური ოფშორული საბადოს ათვისებას იწყებს.

ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე ე. მონიზმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ს გაზის მოპოვების მკვეთრმა ზრდამ უკვე იმოქმედა გაზის გლობალურ ბაზარზე. აშშ-სთვის განკუთვნილი გაზი იმპორტიორებმა უკვე აზიისა და ევროპისკენ გადაამისამართეს, რითაც მნიშვნელოვანი კონიუნქტურული ცვლილებები გამოიწვიეს. რუსი ენერგოპესიმისტების გასაგონად უნდა აღინიშნოს, რომ აშშ მხოლოდ 15 წელია გაზის მოპოვების გლობალურ 150-წლიან პროცესში ჩაერთო. მარტო დასავლეთ ვირჯინიიდან პენსინვალიისა და ნიუ იორკის შტატებამდე გადაჭიმული „მარცელუსის“ ფიქლების გაზის საბადო წლიურად იძლევა 113 მლრდ კუბმეტრ გაზს, ანუ დღეში 40 მლრდ კუბურ ფუტს, რაც ტოლია რუსული „ჩრდილოეთის ნაკადის“, იამალისა და „სოიუზის“ გაზსადენების ევროპის ბაზარზე ერთობლივად მიწოდებული გაზის მოცულობისა.

პარალელურად, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, თითქმის ხუთჯერ შემცირდა „მარცელუსის“ საბადოს მოპოვების თვითღირებულება. ამ დარგის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ გაზის მსოფლიო ფასების შემცირების მიუხედავად, 1 მლნ ბრიტანულთერმულ ერთეულზე (გაზისერთეული) ფასი თუნდაც 3 დოლარი გახდეს, აშშ-ში გაზის რენტაბელობა არ დაზარალდება — ამერიკული გაზის ფასი ევროპაში 7, ხოლო აზიაში 10 დოლარია. ევროპაში რუსული გაზის ფასი 1 მლნ ბრიტანულ ერთეულზე 12 დოლარია. მიუხედავად ამ უპირატესობისა, „გაზპრომის“ 2014 წლის შედეგებით, წმინდა მოგება 2013 წელთან შედარებით შემცირდა 86%-ით და 159 მლრდ რუბლი შეადგინა. აშშ-ს ენერგოსაინფორმაციო სააგენტო (EIA) მოელის, რომ 2020 წლისთვის აშშ-ში შიდაბაზრის ფასი ბრიტანულ ერთეულზე მიაღწევს 4.88, ხოლო 2040 წლისთვის 7.85 დოლარს. ამასთან, ამერიკელი ექსპერტების ცნობით, ახლა აშშ-ში შესაძლებელია 280 ჭაბურღილზე მესამედით მეტი გაზის მოპოვება, ვიდრე 1200 ჭაბურღილზე 2009 წელს. დღეს ფიქლების გაზის მოპოვება აშშ-ში წელიწადში 350 მლრდ კუბმეტრს შეადგენს, რაც ქვეყნის გაზის წარმოების ნახევარზე მეტია ნავთობის ექვივალენტზე გადაანგარიშებით.

2011 წლიდან მოყოლებული, ქ. ჰიუსტონიდან ქ. ახალ ორლეანამდე აშენდა ნავთობქიმიური 33 ქარხანა, თითოეული ღირებულებით 1 მლრდ დოლარი. ამ რეგიონში 2023 წლამდე, აშშ-ს ქიმიური საბჭო მოელის კიდევ 130 მლრდ დოლარის ინვესტირებას. გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტი მალე გასცემს 70 მლრდ კუბმეტრი აირის ექსპორტის ნებართვას გათხევადების ოთხი ტერმინალისთვის. მათგან უდიდესის, „ჩერნირის“ 18 მლრდ კუბმეტრი წარმადობის ტერმინალის მშენებლობა ლუიზიანაში მალე დასრულდება.

## დასავლეთს „უჭირს“ კასპიისპირეთში

ამ სიახლეების ფონზე არ არის გასაკვირი, რომ დასავლური კომპანიები სულ უფრო ნაკლებად ინტერესდებიან კასპიისპირეთით, და მაშასადამე, ნახშირწყალბადების ტრანსპორტირების საქართველოს მარშრუტით. კერძოდ, TANAP-ში „სოკარის“ 80%-იანი წილიდან 12% მხოლოდ BP-მ შეიძინა, ხოლო „ტოტალმა“ და „სტატოილმა“ 10-10%-იან წილების შესყიდვაზე უარი განაცხადეს. ამ კონსორციუმში 10% „სოკარისგან“ თურქულმა „ბოტაშმა“ დაიმატა. TANAP-ში წილების განაწილება, დღეის მდგომარეობით, ასეთია: 58% ეკუთვნის „სოკარს“, 12% — BP-ს, 30% — „ბოტაშს“. ასევე, შარშან TANAP-ის გაგრძელებიდან, „ტრანსადრიატიკული გაზსადენიდან“ (TAP), თავისი 9% დათმო გერმანულმა E.ON-მა, ხოლო 10% ფრანგულმა „ტოტალმა“. ეს წილები ისეთმა ბელგიურმა და ესპანურმა კომპანიებმა შეისყიდეს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო კასპიისპირეთთან.

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ა/წლის ივნისში კომპანია „BP-აზერბაიჯანის“ მოიჯარე, ლოგისტიკური კომპანია ASCO-ს შვილობილი, საზღვაო პლატფორმების მშენებელი კომპანია ASCO ჩასპიან ოლდინგ აზერბაიჯანს ტოვებს. ამ ფირმამ ვერ მიიღო ვერანაირი შეკვეთა სექტემბერში დაწყებული „შაჰ-დენიზი 2“-დან და სავარაუდოდ, მასში დასაქმებული აზერბაიჯანის 400-მდე მოქალაქე მალე უმუშევარი დარჩება.

სავარაუდოდ, კასპიისპირეთს საბოლოოდ დატოვებს ნორვეგიული „სტატოილიც“. 2014 წელს მან თავისი წილები გაყიდა „შაჰ-დენიზის“ საბადოზე და „სამხრეთკავკასიურ გაზსადენში“ მალაიზიურ „პეტრონასზე“. ანტირუსული სანქციების მიუხედავად, ეს კომპანია აფართოებს ბიზნესს დასავლეთ ციმბირში და ოხოტის ზღვის ორ ოფშორულ პროექტში.

## კასპიისპირეთისადმი ევროპის პოზიცია იცვლება

ევროპის ენერგოკომისარი მაროშ შევჩოვიჩი, „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ტრანსკასპიურ პროექტზე სასაუბროდ, მალე ქ. აშგაბატში აპირებს ვიზიტს. ევროპის „სამხრეთის გაზის დერეფანში“ თურქმენეთს წლიურად 30 მლრდ კუბმეტრი გაზის მიწოდება შეუძლია. მარტში თურქეთის პრეზიდენტი რ. ტ. ერდოღანი თურქმენეთში იმყოფებოდა და პრეზიდენტ გ. ბერდიმუჰამედოვს TANAP-ში ჩართვა შესთავაზა. აშგაბატი უარს ამბობს 300 კმ სიგრძის „ტრანსკასპიური გაზსადენის“ აგებისთვის 3-5 მლრდ დოლარის გამოყოფაზე.

საინტერესოა, რომ „ტრანსკასპიურ“ პროექტს ბევრი ევროკავშირშიც არ უჭერს მხარს. მათი ნეგატიური არგუმენტები, ძირითადად, კასპიის სტატუსს, შელფზე საზღვრების დელიმიტაციის პრობლემებს და ეკოლოგიას ეყრდნობა. მომავალ, 2016 წელს ქ. ასტანაში გაიმართება კასპიისპირა ქვეყნების მორიგი სამიტი, სადაც ეს პრობლემები იქნება განხილული. მანამდე ექსპერტები მოელიან ირანის გააქტიურებას დასავლეთის მხრივ სანქციების მოხსნის და მასთან დაახლოების მოლოდინის ფონზე. თეირანს უნდა TANAP-ში ჩართვა და არ აწყობს ამ მხრივ კონკურენტების არსებობა. ეს ნიშნავს, რომ ირანი ყველანაირად ხელს შეუშლის საქართველოზე გამავალი კასპიური ენერგოპროექტების განხორციელებას. ამავე მიზეზით, ირანი არ დაუთმობს თურქმენეთს თავის ტერიტორიას თურქეთში გაზის ტრანზიტისთვის.

იცვლება ევროკავშირის პოზიცია „სამხრეთის გაზის დერეფნის“ მიმართაც. „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ ბრიუსელმა გადახედა თავის „სამეზობლო პოლიტიკას“ და 2011 წელს შექმნა სტრატეგია „ცვალებადი სამეზობლოს ახალი პასუხი“ (A New Response To a Changing Neighbourhood), რომელშიც ეკონომიკური თანამშრომლობის პირობად (conditionality) „ღრმა დემოკრატიული“ რეფორმირებაა (deep democracy) დაყენებული. მართალია, თურქმენეთი „სამეზობლო პოლიტიკაში“ არ მონაწილეობს, მაგრამ ევროპაში ხშირად საუბრობენ აშგაბატის რეჟიმის ავტორიტარიზმზე.

## ჩინეთის კონკურენცია

განსხვავებით ევროკავშირისგან, ჩინეთს არანაირი პრობლემა არა აქვს შიდაპოლიტიკურ საკითხებთან. ის ყოველწლიურად 50 მლრდ კუბმეტრ თურქმენულ გაზს იღებს. პეკინი ცენტრალური აზიის ქვეყნებში 10 მლრდ დოლარამდე ზრდის თურქმენეთის გაზსატრანსპორტო ქსელების მშენებლობის დაფინანსებას, რათა 2017 წლიდან ყოველწლიურად მიიღოს 80 მლრდ კუბმეტრი თურქმენული გაზი. თურქმენეთის პეკინისადმი საკრედიტო დავალიანებების გასტუმრება ხდება გაზის მიწოდებით.

ამ საკითხზე ევროკავშირის მოხსენებაში „რუსული გაზის ევროპული ალტერნატივები“ (Europe’s alternatives to Russian gas) მითითებულია, რომ „...თუქმენეთმა შეცვალა თავისი საექსპორტო პოლიტიკა ჩინეთის სასარგებლოდ“.

უცნაურია, მაგრამ კასპიისპირეთში ევროკავშირს აშშ-ს სახით ახალი კონკურენტი გაუჩნდა. ვაშინგტონი, ავღანეთიდან სამხედრო ევაკუაციის პარალელურად, მხარს უჭერს 33 მლრდ კუბმეტრის წლიური წარმადობის მქონე ურთიერთხელსაყრელ „თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთის გაზსადენის“ (TAPI) პროექტს.

ამრიგად, კასპიისპირეთში ევროკავშირი უპირისპირდება ყველა რეგიონულ მოთამაშეს. ამიტომაა, რომ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფანი“, რომელშიც საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური“ (SCP) და „ტრანსკასპიური” (TCGP) გაზსადენები შედიან, დასავლეთის ენერგოკომპანიებიდან პრაქტიკულად მხოლოდ BP-ს „ამარა“ დარჩა. მასში წამყვან როლს უკვე არა ევროპული, არამედ აზერბაიჯანული და თურქული ენერგოკომპანიები ასრულებს.

მეორეს მხრივ, იგივე თურქული კომპანია „ბოტაში“, აქტიურად თანამშრომლობს „გაზპრომთან“ ახალი პროექტის, რუსეთისა და თურქეთის დამაკავშირებელი „თურქული ნაკადის“ მშენებლობაზე. ამ გაზსადენით „სამხრეთის ნაკადის“ რუსეთი-ბულგარეთის (ანუ ევროკავშირის) მარშრუტის ჩანაცვლება, რუსეთის მხრივ, არ არის შემთხვევითი. საქმე ისაა, რომ არც რუსეთი და არც თურქეთი არ არიან ევროკავშირის წევრები, ანუ მათ არ ეხება ევროკავშირის „მესამე ენერგოპაკეტის“ მოთხოვნები გაზსადენზე მესამე მხარის დაშვების აუცილებლობაზე, რაც, ფაქტობრივად, „სამხრეთის ნაკადის“ შეჩერების მიზეზი გახდა. თუმცა, საბერძნეთში ამ გაზსადენის გაგრძელება ისევ „მესამე ენერგოპაკეტის“ მოთხოვნებს უკავშირდება, ამიტომ რუსეთისთვის აუცილებელი იქნება, მისი გაზი ევროპელმა მომხმარებლებმა იყიდონ თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე მდებარე „ჰაბიდან“.

## ახალი ევროპული „ჰაბი“

საბერძნეთის ახალი „მემარცხენე“ მთავრობა მიესალმება „თურქული ნაკადის“ საბერძნეთში გაგრძელებას. ამისთვის „გაზპრომს“ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ერთ-ერთი პროექტის — „ტრანსადრიატიკული გაზსადენი“ (TAP), ან უკვე დაწყებას მიცემული „ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნეთი-იტალია“(ITGI) დასჭირდება. ამ შემთხვევაში რუსულ გიგანტს ასევე DESFA-საბერძნეთის ეროვნული სატრანსპორტო ქსელის (NGTS) გამოყენებაც მოუწევს. სხვათა შორის, ამ ქსელის აქციების 35%-ის აზერბაიჯანული „სოკარის“ მიერ 2013 წელს შესყიდვის კანონიერებას ევროკომისია იკვლევს.

არსებული ინფორმაციით, „თურქული ნაკადის“ გაზსადენი დასავლეთ თურქეთის იპსალას ოლქში, საბერძნეთის საზღვართან იმ რაიონში მივა, სადაც TANAP უნდა დაუკავშირდეს TAP-ს. ეს ამ ორ სისტემას შორის საბაზრო წილის გამო მზარდ კონკურენციას გამოიწვევს, თუ მხედველობაში მივიღებთ TANAP-ის გაზსადენების წარმადობის (16-დან 31 მლრდ კუბმეტრამდე) და TAP-ის (10-დან 20 მლრდ კუბმეტრამდე) შესაძლო ზრდას.

პრაქტიკულად, რუსეთს ეძლევა შანსი, თავისი გაზი ევროპაში „თურქული ნაკადიდან“ TAP-ის გავლით ისე გაიტანოს, არ დაარღვიოს ევროკავშირის „მესამე ენერგოპაკეტის“ მოთხოვნები. ეს იმითაა განპირობებული, რომ:

1) რუსეთი არ ფლობს TAP-ის წილს;

2) თუ TAP-ს პირველ ეტაპზე მხოლოდ 10 მლრდ წლიური წარმადობა ექნება, უკვე მეორე ეტაპზე ის 20 მლრდ კუბმეტრამდე (100%) გაიზრდება;

3) ევროკომისიამ TAP-ის მთლიანი სიმძლავრის 50% ღიად დატოვა მეორე სტადიაზე „მესამე მხარის დაშვებისთვის“;

4) ევროკავშირის რეგულაციებით, TAP ვალდებულია, მესამე მხარის მოთხოვნით, საბერძნეთში გახსნას დამატებითი შემავალ-გამავალი წერტილები „არა შაჰ-დენიზის“ გაზის მისაღებად.

„მესამე ენერგოპაკეტის“ თვალსაზრისით, რუსეთმა შეიძლება მიიღოს TAP-ზე წვდომა, როგორც მეორე სტადიაზე გაზის მიმწოდებელმა (არა მესაკუთრემ), ან მოითხოვოს TAP-ში დამატებითი სატუმბებისთვის შემავალი/გამავალი წერტილების შექმნა.

თუ რუსეთს არ ექნება საკუთარი ინფრასტრუქტურა, მაგრამ უბრალოდ გაყიდის თავის გაზს თურქეთ-საბერძნეთის საზღვარზე, მაშინ ის აღარ დაარღვევს „ევროკავშირის მესამე ენერგოპაკეტის“ მოთხოვნებს (განსხვავებით „სამხრეთის ნაკადისაგან“). თუმცა, „შაჰ-დენიზის“ კონსორციუმმა უკვე უზრუნველყო 2018 წლისათვის, ანუ პირველ ეტაპზე 10 მლრდ კუბმეტრი აზერბაიჯანული გაზით TAP-ის სრული (ანუ პირველი ფაზის) შევსება 25-წლიანი კონტრაქტებით; ე.ი. სულ ცოტა 25 წლით რუსულ გაზს არ ექნება TAP-ში დაშვება; თან აზერბაიჯანი აპირებს თავის გაზის ექსპორტის გაზრდას „აზერი-ჩირაღი-გიუნეშლიდან“, „უმიდიდან“, „აბშერონიდან“ და „შაჰ-დენიზი 3“-დან...

საბერძნეთს სურს, „თურქული ნაკადი“ ევროპაში გააგრძელოს „ინტერკონექტორი თურქეთი-საბერძნეთი-იტალიის“ (ITGI) მარშრუტით. ამავდროულად, „თურქული ნაკადის“ მწყობრში ჩადგომით, უკრაინასთან 2019 წლამდე არსებული სატრანზიტო შეთანხმება სავარაუდოდ, აღარ განახლდება. ამიტომ, დასავლეთ თურქეთამდე გაყვანილი რუსული „ტრანსბალკანური გაზსადენის“ (TBP – საბჭოთა კავშირის დროს მას „პროგრესს“ უწოდებდნენ) არსებობას აზრი ეკარგება, ვინაიდან მას ჩაანაცვლებს „თურქული ნაკადი“, რომლის სიმძლავრე TBP-სას თითქმის სამჯერ აღემატება. სავარაუდოდ, „ტრანსბალკანური გაზსადენი“, უკრაინაზე ტრანზიტის შეწყვეტის შემდეგ, „გაზპრომმა“ შეიძლება რევერსულ რეჟიმში გამოიყენოს და ბალკანეთის ქვეყნებს რუსული გაზი „თურქული ნაკადით“ მიაწოდოს. ამით ის მოგვევლინება კასპიისპირეთის გაზის კონკურენტად იქ სადაც მას, „ნაბუქოს“ შეჩერების და TANAP-ის და TAP-ის დაწყების შემდეგ, ყველაზე ნაკლები შანსი ჰქონდა. ამასთან, „თურქული ნაკადის“ გაზსადენის უპირატესობა გასული წლის ბოლოს შეჩერებულ „სამხრეთის ნაკადთან“ ისაა, რომ არ არღვევს ევროკავშირის „მესამე ენერგოპაკეტის“ მოთხოვნებს, რაც მისადმი ბრიუსელის ლოიალობას უზრუნველყოფს.

ამრიგად, სავარაუდოდ, რუსეთი „თურქული ნაკადით“ შეეცდება, ხელი შეუშალოს საქართველოს გავლით აზერბაიჯანული გაზის ევროკავშირში „მეოთხე გაზის დერეფნით“ ექსპორტს. ეს მას სჭირდება, რათა TANAP-ს და TAP-ს დაასწროს „თურქული ნაკადის“ (2020 წელს) მწყობრში ჩადგომა. 2016 წლისთვის აშშ-დან თხევადი გაზის ექსპორტის ფორსირება და მულტინაციონალური კომპანიების მხრივ კასპიისპირეთისადმი ინტერესის განელება, რაც ამჟამად ხდება, მოსკოვს ამ ამოცანას გაუადვილებს.

# „ონკოპაციენტი ვარ, ოპერაციის დაფინანსებაზე კი უარი მითხრეს“

## მოქალაქეები ჯანდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

საქართველოს ყველა მოქალაქე დაზღვეულია, C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებს უფასოდ ვმკურნალობთ... ერთი შეხედვით, ყველაფერი იდეალურადაა და ქვეყნის ჯანდაცვის სისტემასაც სასაყვედურო წესით არაფერი აქვს... მაგრამ არსებობს ერთეული შემთხვევები, რომელიც ამ იდილიას ჩრდილს აყენებს და კითხვები, რომლებიც, უამრავი კომენტარის მიუხედავად, მაინც უპასუხოდ რჩება.

რამდენიმე დღის წინ „ვერსიას“ ქალბატონი დაუკავშირდა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, სამაგიეროდ, ჯანდაცვის სამინისტროს მისამართით საყვედურები არ დაიშურა: „ონკოპაციენტი ვარ, ჯანდაცვის სამინისტრომ კი ოპერაციის დაფინანსებაზე უარი მითხრა... სამინისტროში ახლობელი მყავს, რომელმაც ჩუმად მითხრა, საკმაოდ შეზღუდულად ვაფინანსებთ ოპერაციებს იმიტომ, რომ მთელი რესურსი საფრანგეთშია გადასროლილი, C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატის შეძენაზეო“.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის მინისტრს არაერთი კომენტარი აქვს გაკეთებული ამ საკითხზე, გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ გადაგვემოწმებინა, რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს. ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახური კი მშრალი კომენტარით შემოიფარგლა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: **„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ყოველგვარი შეფერხების გარეშე გრძელდება. პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების პირობების თაობაზე ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე“.**

პასუხი მარტივია და გასაგებიც, მაგრამ მაშინ რატომ ჩნდება მსგავსი ინფორმაციები, თუ დაფინანსება შეუფერხებლად ხდება და ყველა ადამიანი მისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურებას იღებს? სამწუხაროდ, ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში ეს კითხვა პასუხის გარეშე დატოვეს, მინისტრის ერთი კომენტარის იმედად, როდესაც მან განაცხადა, რომ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს მათ წინააღმდეგ.

შეიძლება ასეცაა და ვიღაცები მართლაც ცდილობენ, ჯანდაცვის სისტემის ყველა დამსახურება გააბათილონ, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ თავად პრესსამსახურშიც არ იწუხებენ თავს კითხვებზე პასუხის გაცემით.



1. რატომ ვრცელდება მსგავსი ინფორმაციები?
2. რამე თუ შეიცვალა მოქალაქეთა დაფინანსებაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში?
3. თქვენი აზრით, რატომ იმატებს უკმაყოფილო ადამიანთა რაოდენობა?
4. აქვს ქვეყანას იმის რესურსი, ყველა მოქალაქე დაზღვეული ჰყავდეს და საკმაოდ ძვირადღირებული პრეპარატით, „სოფოსბუვირით“ C ჰეპატიტიან პაციენტებსაც უმკურნალოს?
5. ასეთი მიდგომა ხომ არ ჩამოშლის მთლიანად ჯანდაცვის სისტემას, მით უმეტეს, კლინიკების ხელმძღვანელებიც ხელს ჯანდაცვის სამინისტროსკენ იშვერენ, რომ თანხები დროულად არ ერიცხებათ და შესაბამისად, მედპერსონალზეც ხელფასებს ამავე მიზეზით არ გასცემენ?
6. ჩამოთვლილი პრობლემები ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ ჯანდაცვის სამინისტროს გატარებული პოლიტიკა სამედიცინო სფეროს ჩიხში შეიყვანს?

ეს ის კითხვებია, რომელზე პასუხად ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა მინისტრის სხვადასხვა ბრიფინგების ლინკები გადმოგვიგზავნა. კი ბატონო, არავინ დავობს, მინისტრს შესაძლოა ამ კითხვებზე სხვადასხვა დროს მართლაც აქვს პასუხი გაცემული, მაგრამ რა ქნან იმ ადამიანებმა, ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვთ?

კოლეგიალობიდან გამომდინარე, კომენტარს არ ვაკეთებ, მაგრამ იქნებ ერთხელ და სამუდამოდ, დარეგულირდეს ეს საკითხი, რათა ერთ არამშვენიერ დღეს, თითი მოქმედი ჟურნალისტებისკენ არ გამოიშვირონ და ხელი არ შეგვაწმინდონ, ჩვენი სიტყვები არასწორად გაიგესო!



## ბაგრამის საავიაციო ბაზაზე გეგმური სწავლება გაიმართა

წვრთნაში საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის „ჩარლის“ ასეული მონაწილეობდა.

სამხედრო სწავლება რამდენიმე კომპონენტისგან შედგებოდა. ქართველმა ჯარისკაცებმა თვითმკვლელის აფეთქების შემდეგ, შიდა პატრულის ჯგუფების მოქმედებები, დაშავებულის ევაკუაციის პროცედურები და პოზიციების გაძლიერების სხვადასხვა მეთოდი დახვეწეს. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები სტანდარტული ოპერაციული პროცედურების მიხედვით მოქმედებდნენ.

ტაქტიკური სწავლება სამხედრო ბაზის უსაფრთხოების სხვადასხვა სექტორში განხორციელდა. 43-ე ბატალიონის პირად შემადგენლობას სწავლება საცეცხლე მომზადებაშიც ჩაუტარდა. ქართული ქვედანაყოფისა და ბაგრამის საავიაციო ბაზის მეთაურობის შეფასებით, პირადი შემადგენლობა საბრძოლო მზადყოფნის მაღალ ხარისხს ინარჩუნებს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონი „მტკიცე მხარდაჭერის“ (Resolute Support) მისიას ბაგრამის საავიაციო ბაზაზე ასრულებს. მათი მთავარი ამოცანა საავიაციო ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

*„პირველი“*



## ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკამ დე ფაქტო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა

დე ფაქტო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ „ბრძანებას“ ხელი ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის თვითაღიარებულმა ლიდერმა, ალექსანდრე ზახარჩენკომ მოაწერა.

ამის შესახებ რუსული საინფორმაციო სააგენტო Lifenews.ru ექსკლუზიურად იტყობინება. ე.წ. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე კოფმანის თქმით, მომხდარი ორ „რესპუბლიკას“ შორის დამყარებულ ურთიერთობებში ლოგიკური ნაბიჯია: **„როგორც აფხაზი, ისე ოსი ხალხი ძალიან ახლოა დონბასის ხალხთან. თავის დროზე დონეცკი აფხაზებსა და ოსებს დაეხმარა, როდესაც მათ ომი ჰქონდათ. ახლა ისინი გვეხმარებიან ჩვენ. ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს ნაბიჯი გადავდგით“.**

ე.წ. სამხრეთ ოსეთმა დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკები შარშან ივნისში „აღიარა“. რაც შეეხება აფხაზეთს, სოხუმში „აღიარების“ ნაბიჯი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

*„პირველი“*



# „ვინმე არსებობს, ვინც არ იცის, რომ ეს მაიაკოვსკის ძეგლია?“



მაკა ლომაძე
555-27-95-13

რუსი რევოლუციონერი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, იმერეთში, ბაღდათში დაიბადა. მისი ძეგლი, მშობლიური ქალაქის გარდა, თბილისშიც დგას. მამის სიკვდილის მერე, დებთან ერთად, დედამ მოსკოვში წაიყვანა საცხოვრებლად. მისი პოემა „შარვლიან ღრუბელს“ ფუტურიზმის ერთგვარ მანიფესტადაა მიჩნეული. ის იყო დრამატურგი, რუსული ფუტურიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრმა, ლექსების წერა ციხეში დაიწყო. მაიაკოვსკი რეფორმატორი იყო, რომელიც უარყოფდა როგორც კლასიკურ, ისე დეკადენტურ პოეზიას და დოგმის წინააღმდეგ ილაშქრებდა. იგი რომანტიკოს პოეტად მოგვევლინა, რომელიც ტრაგიკულად აღიქვამდა სინამდვილეს.

მაიაკოვსკიმ ბევრგან იმოგზაურა: პარიზში, ამერიკაში, გერმანიაში, მექსიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, თუმცა საქართველო არასდროს დავიწყებია და ქართული ენაც კარგად იცოდა. მისი ლექსები, მის სიცოცხლეშივე თარგმნეს პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ...

„ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად იცნობს თბილისის მოსახლეობა დიღმის მასივში მდებარე ძეგლს, რომელიც ერთ დროს, ყველა მხრიდან ფილებით იყო მოპირკეთებული, ახლა კი დაზიანებული და ბათქაშჩამოცლილია. მიუხედავად ამისა, ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება დღესაც შთაბეჭდილებას ახდენს და იმედს გვიტოვებს, რომ „ორი რუსეთი“ ნამდვილად არსებობს.

პირველი ჩვენი რესპონდენტი 15 წლის ანა ჯალაღანიაა, რომელმაც სიხარულით გაგვცა სწორი პასუხი. 57 წლის ნინო დუმბაძეც ასევე სწრაფი იყო. პოეტის ვინაობა იცოდა 20 წლის თათამაც. ჩვენდა გასაკვირად, ორ 9 წლის ბიჭუნასაც არ დაუყოვნებია ეპასუხა, ეს მაიაკოვსკის ძეგლიაო. 17 წლის დიმიტრიმ და 16 წლის ტიმოთემაც „ვერსიის“ „გამოცდა“ წარმატებით ჩააბარეს. 29 წლის ნატაც გათვითცნობიერებული აღმოჩნდა, ასევე „მომზადებული“ იყო 24 წლის თბილისელი გიორგი.

29 წლის გიგა ბექაურმა ასეც კი გვითხრა: „ვინმე არის, რომ არ იცოდესო?“ ერთი ბორჯომელი ახალგაზრდა შევაჩერეთ — 29 წლის ნინო წერეთელიც ვერ ჩავჭერით. „ინტრიგანი ხომ არ ვარ-მეთქი“ — თავს ამით ვიმშვიდებდი, თორემ მრავალფეროვანი სურათის დახატვის მცდელობა ამ შემთხვევაში, აშკარად ჩამეფუშა.

პასუხი იცოდა 23 წლის გიორგიმაც, 13 წლის ქეთიმაც და 56 წლის ქალბატონმა მარინამაც. ნახევრად რუს და ნახევრადსომეხ 12 წლის ჟენიასაც აღმოაჩნდა სწორი ვერსია. ათი ქულა მიიღეს 12 წლის ნიკა ცაავამ და 25 წლის თორნიკე ხაჭაპურიძემაც. აპლოდისმენტები, მეგობრებო!

ორმა ახალგაზრდამ საერთოდ ამარიდა თავი: სავარაუდოდ, უცოდინრობის გამო. ორმა ერთად მომავალმა „ჯეელმა“ კი ალალად მითხრა: „არ ვიცით“. თუმცა, ამდენ გამოკითხულთაგან, ეს შესანიშნავი შედეგია. რაც მთავარია, აზერბაიჯანელმა სტუდენტმა, 22 წლის იქმედმაც კი იცოდა, რომ ეს რუსი პოეტი მაიაკოვსკია.

ამ მცირედი გამოკითხვით ძალიან კმაყოფილი და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, თუმცა, ოდნავ გულდაწყვეტილი — კარგია, ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლს ყველა რომ ცნობს, მაგრამ სამწუხაროა, წინა გამოკითხვებში, მოქალაქეებმა გალაკტიონი და აკაკი რომ ვერ იცნეს. ამის არასაპატიო, მაგრამ რეალური მიზეზი, ერთ ბავშვთან საუბრისას გავარკვიე: დედა თავის დაქალს ხშირად ეუბნება მაიაკოვსკის ძეგლთან შევხვდეთო. ალბათ, სამარშრუტო ტაქსშიც ხშირად ისმის, „მაიაკოვსკის ძეგლთან გამიჩერე“...

ისეთი რესპონდენტიც შემხვდა, რომელმაც მაიაკოვსკის ვინაობა კი იცოდა, მაგრამ საკმაოდ არასახარბიელო წინადადებით გამოვიდა: არ სჯობს, ავიღოთ ეს ძეგლი და ერთი ეკლესია ჩავდგათ? ძეგლის აღების იდეა, შეიძლება რუსოფობებსაც გაუჩნდეთ, მაგრამ იმედია, დემონტაჟის ნაცვლად, მაიაკოვსკის ძეგლს პატრონი გამოუჩნდება და შეკეთდება კიდეც.



## ნეპალში კიდევ ერთი ძლიერი მიწისძვრა მოხდა

ნეპალის აღმოსავლეთ ნაწილში, ევერესტის მწვერვალთან, ქალაქ ნამჩე ბაზართან ახლოს 7.4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა.

BBC-ის ცნობით, მიწისძვრის ბიძგები ინდოეთისა და ბანგლადეშის დედაქალაქებშიც კი იგრძნობოდა. ძლიერი ბიძგები იგრძნობოდა ნეპალის დედაქალაქ კატმანდუშიც, რომელიც 2 კვირის წინ ძლიერი მიწისძვრის შედეგად განსაკუთრებით დაზარალდა. 25 აპრილს მომხდარმა 7.8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრამ ნეპალში 8 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

*„პირველი“*



1. ვაჟას მშობლიური სოფელი
2. ყაზახეთის დედაქალაქი
3. ტაძარი ქუთაისში
4. ლიტვის ეროვნული ვალუტა
5. მეშახტეთა ქალაქი საქართველოში
6. აღმოსავ. სასადილო, სადაც ყავას სვამენ
7. სამშენებლო მასალა
8. ოთახის დეკორატიული ყვავილი
9. პატ. ხანჯალი სამწახნაგოვანი პირით
10. იგივეა, რაც იარლიყი
11. ქალაქი რუსეთში
12. ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში
13. მოცარტის მშობლიური ქვეყანა
14. იტალ. მწერალი უმბერტო ...
15. ერთ-ერთი მთ. ღვთაება ძვ. ეგვიპ.
16. პოლონელი წვრილი აზნაურობა
17. საბერძ. დედაქალაქი
18. მოკლე ამოცანა
19. ქართული საბრძოლო მანქანა
20. შინაური ცხოველი
21. ბამბის თხელი ქსოვილი
22. ფეხის ქვედა ნაწილი
23. „საინფორ-მაციო ღრუ“
24. ხალხური სიტყვიერების ჟანრი
25. ასურელი მამა ... სამთავნელი
26. გერმანული ავტომარკა
27. ბიბლიური ისააკის ძე
28. უნგრული ჯიშის ნაგაზი
29. კაბის ან პალტოს ერთ-ერთი ფასონი
30. სოფელი ყაზბეგის რაიონში
31. შხამიანი გომბეშო
32. მხატვრ. საგნების გამოსახვა პერსპექტ.
33. პირენეის მთების უმაღლესი მწვერვალი
34. მამალი კვიცი
35. ობობასებრი მაიმუნი
36. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
37. სიმებიანი მუსიკალური საკრავის კორპუსის ნაწილი
38. კურორტი რაჭაში
39. ატოლის შიგნით მოქც. ზღვის ნაწილი
40. ღორის ცხვირი
41. ფრანგი მსახიობი ... ჟაკობი
42. აკვანში ბავშვის ჩასაკრავი ქსოვილი
43. რქებდახრილი ხარი
44. დენთითა და ტყვიით გატენილი მასრა
45. ინგლისელთა ტრადიციული ლუდი
46. მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში
47. ხორვატიის დედაქალაქი
48. თმის მცენარეული საღებავი
49. სამეურნეო მუშაკი
50. დედალი ღორი
51. პატარა საწნახელი
52. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
53. „ქვინის“ გიტარისტი ბრაიან ...
54. სუმოისტების ტურნირი
55. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი
56. „როგორც ნაწვიმარ ... ვარდი...“
57. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
58. საიუველირო ფრიმა
59. წილი საერთო საქმეში
60. მდინარე, სადაც იესო მონათლა
61. სამი წერტილი კამათელზე
62. მარცვლოვანთა ოჯახის ბალახო-ვანი მცენარე
63. ადამიანის სამეტყველო ორგანო
64. ესპანელი მეკარე ... კასილასი

# ღღეგრძელობის საიდუმლო ამოხსნეს



შვედმა მეცნიერებმა დაასრულეს კვლევაზე მუშაობა, რომელიც 50 წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა. სწავლულები იმ 855 ადამიანის ცხოვრების წესსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებოდნენ, რომლებიც გეტებორგში 1913 წელს დაიბადნენ. სამუშაოს დასრულების შემდეგ მკვლევარებმა რამდენიმე რეკომენდაცია მოამზადეს მათთვის, ვისაც სურს, გაიმეოროს ექსპერიმენტის მონაწილეების მიღწევა და 100 წლამდე იცოცხლოს. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ყველაზე მეტად სიცოცხლის ხანგრძლიობაზე მოქმედებს ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 50 წლის ასაკში (თუ ამ დროისთვის ხერხდება ცხოვრების კარგი პირობების შექმნა, ეს მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს სიცოცხლეს), გენეტიკური მიდრეკილება დღეგრძელობისკენ დედის მხრიდან, სისხლში ქოლესტერინის ნორმალური დონე და ასევე მოწევაზე უარის თქმა. ვისაც დიდხანს სიცოცხლე სურს, მეცნიერები ურჩევენ, დღეში ოთხ ფინჯანზე მეტი ყავა არ დალიონ.

# პენსიონერი ხმაურიანი სარწეველასთვის დააჯარიმეს



კანადელმა პენსიონერმა ჯარიმა დაიმსახურა მეტად უჩვეულო დარღვევისთვის. 91 წლის ქალბატონი თითქმის მთელ დროს სკამ-სარწეველაში ატარებს, რომლის ხმაურმაც იმდენად შეაწუხა მეზობლები, რომ პოლიციას მიმართეს. წესრიგის დამცვლებმაც არ დააყოვნეს და მოხუცი, მეზობლების სიმყუდროვის დარღვევისთვის, 148 კანადური დოლარით (დაახლოებით 110 ევრო) დააჯარიმეს. მას შემდეგ, რაც ეს ისტორია მედიისთვის გახდა ცნობილი და ადვოკატმაც გაასაჩივრა, სამართალდამცავებმა ჯარიმის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღეს.

# გარდაცვლილმა ჯანმრთელი ბავშვი გააჩინა



აშშ-ში, ნებრასკას შტატში, ფეხმძიმე ქალი, რომლის ტვინიც გაითიშა, ორი თვის განმავლობაში აპარატზე შეერთებული დატოვეს, რათა ბავშვის გაჩენა შეძლებოდა. 22 წლის კარლა პერესი, რომელიც მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ, სახლში დაწყებული ძლიერი სისხლდენის გამო, ჯანმრთელობის მდგომარეობა გაურთულდა. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის ტვინი გაითიშა, ექიმებმა ის 54 დღის განმავლობაში პარატზე შეერთებული დატოვეს. როცა ნაყოფი ჩამოყალიბდა, კარლას საკეისრო გაუკეთეს. მან ბიჭი გააჩინა. ექიმები აღნიშნავენ, რომ დედის მდგომარეობას ბავშბის ჯანმრთელობა სერიოზულად არ გაურთულებია და ჩვილის მდგომარეობა სტაბილურია.

# სუდოკუ მანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 7 | | 1 | | | 5 | | |
| | 9 | 8 | 5 | 7 | | | | |
| 6 | | 4 | | | 9 | | | |
| | | 9 | | | | | 2 | 3 |
| | 8 | | | | | | 7 | |
| 5 | 2 | | | | | 6 | | |
| | | | 7 | | | 4 | | 2 |
| | | | | 9 | 5 | 8 | 6 | |
| | | 7 | | | 1 | | 5 | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | 6 | | | 3 | | |
| 3 | 6 | 2 | | | | | | 7 |
| 1 | | | 3 | | | | 4 | |
| | 2 | | | | 8 | | | |
| 7 | | 1 | | 9 | | 8 | | 4 |
| | | | 7 | | | | 9 | |
| | 4 | | | | 3 | | | 6 |
| 2 | | | | | | 4 | 5 | 8 |
| | | 6 | | | 2 | | | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | | | | 5 | 9 | 1 | |
| | | 1 | | | | | | |
| 9 | | | 3 | | | | | 4 |
| | | 9 | 7 | | | 3 | 2 | |
| | | | | 8 | | | | |
| | 4 | 2 | | | 9 | 6 | | |
| 7 | | | | | 6 | | | 9 |
| | | | | | | 2 | | |
| | 1 | 5 | 9 | | | | 6 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 3 | | 1 | | | | | |
| 9 | | | 2 | | | | | |
| | 5 | 4 | | | 8 | 6 | | |
| 3 | 2 | | | 6 | | 1 | | 4 |
| 1 | | | | | | | | 8 |
| 4 | | 5 | | 9 | | | 6 | 2 |
| | | 1 | 6 | | | 8 | 3 | |
| | | | | | 3 | | | 6 |
| | | | | | 2 | | 1 | 9 |



## ოტელი გამოტირების მსურველთათვის

ამომავლი მზის ქვეყანაში, ერთ-ერთ ოტლში ნომრები გაჩნდა, სადაც ტირილის მოყვარულებს შეუძლიათ ცრემლი ღვარონ. ეს უჩვეულო სასტუმრო ტოკიოში მდებარეობს. როგორც იდეის ავტორები აცხადებენ, სპეციალური ოთახები იმაზეა გათვლილი, რომ გულიანად ტირილის მსურველმა ამის გაკეთება ზედმეტი მორცხვობის გარეშე შეძლოს. სასტუმროს ხელმძღვანელობამ იზრუნა, ამაში მაქსიმალურად დაეხმაროს კლიენტებს. კერძოდ, სტუმრებს სთავაზობენ გულისამაჩუყებელი მელოდრამების ნახვას. ოტელის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ „დასვენების“ ასეთი სახეობა შესანიშნავი იქნება იმ ქალებისთვის, რომელთაც ტირილით შეუძლიათ სტრესის მოხსნა და უარყოფითი ემოციებისგან გათავისუფლება. იდეის ინიციატორებმა იმაზეც იზრუნეს, რომ გულამოსკვნით ტირილის შემდეგ ადამიანმა თავი მოიწესრიგოს. საამისოდ „მოტირლებს“ სხვადასხვა პროცედურებს სთავაზობენ. ზაფხულის ბოლომდე „ტირილის ნომრებზე“ ფასდაკლება იმოქმედებს — ერთი დღე-ღამის გატარება მსურველებს 84 ფოლარი დაუჯდებათ.

## ფუფუნების საგანი — ელექტრონული უნიტაზი



ტექნოლოგიური მიღწევების ეპოქაში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მწარმოებლები ისეთი საჭირო ატრიბუტის დახვეწაზეც მუშაობენ, როგორიც უნიტაზია. დღეს ამომავალი მზის ქვეყანაში ელექტრონული უნიტაზები მოსახლეობის 76%-ს აქვს სახლში. ფუფუნების ამ საგნის ყიდვა იაპონიაში ეროვნული კეთილდღეობის ერთგვარ საზომადაც კი იქცა. ეს ულტრათანამედროვე უნიტაზი ცნობილმა ტექნოლოგიურმა მწარმოებელმა „ტოტომ“ შექმნა. ასეთი უნიტზების უპირატესობა მის რამდენიმე ფუნქციაში მდგომარეობს. კერძოდ, რეცხავს თბილი წყლით და შხაპის ფუნქციასაც ასრულებს. გარდა ამისა, უნიტაზის დასაჯდომი თბილია, რაც დამატებით კომფორტს ქმნის, ყველაზე ძვირადღირებული მოდელი კი სპას ფუნქციასაც ასრულებს და აქვს ასევე შრობის რეჟიმი. ზოგიერთი მოდელის მართვა დისტანციურადაცაა შესაძლებელი. ელექტრონული უნიტაზების ფასი 250-დან 1700 დოლარამდე მერყეობს. გარდა იაპონიისა, ბოლო მოდელის უნიტაზებს უკვე მეზობელ ქვეყნებშიც ყიდიან.

## დიაგნოსტიკა სიზმრებით



ბრიტანელმა სწავლულებმა ლაფბოროს უნივერსიტეტიდან სიზმრების სამედიცინო ახსნა შეადგინეს, რომელიც გარკვეული შინაარსის სიზმარსა და დაავადებას შორის კავშირს აღწერს. მაგალითად, ხშირი კოშმარები, როგორც აღმოჩნდა, იმ ადამიანს ესიზმრება, რომელსაც შაკიკი, გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები აწუხებს ანდა ბეტა-ადრენობლოკატორების ჯგუფის პრეპერატებს იღებს. როგორც წესი, კოშმარე ძილის დროს ტვინში სისხლის მიწოდების გაუარესებას უკავშირდება, — ამბობენ მეცნიერები. სწორედ ესაა მიზეზი საშინელი სიზმრებისა. ხშირად ცვალებადი სიზმრები ოთახში ძალიან მაღალი ან დაბალი ტემპერატურის შედეგია. გარდა ამისა, სიზმრების სიხშირე არცთუ იშვიათად დამოკიდებულია ანტიდეპრესანტების მიღებაზე, ანდა ზურგის, წელისა და სახსრების ქრონიკულ ტკივილებს უკავშირდება. მძიმე სიზმრები, რომელშიც ადამიანი ვინმესგან გაქცევას და თავის გადარჩენას ცდილობს, ალცჰეიმერისა და პარკინსონის დაავადების ნიშანია. ასეთი სიზმრები ნერვული სისტემის პათოლოგიის მანიშნებელი შეიძლება იყოს. თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მსგავსი სიზმარი შესაძლოა, ნორმა იყოს გადაღლილობის ან ძლიერი ემოციური განცდისას. ალკოჰოლი,მწვავე ინფექციური დაავადებები მკვეთრი სიზმრების მიზეზი ხდება. ეროტიკული სიზმრები კი, მკვლევართა განცხადებით, ჩვეულებრივ, არ უკავშირდება ადამიანის სექსუალურ სურვილს.ასეთ სიზმრებს ხშირად ხანდაზმულები ხედავენ და ის განპირობებულია ტვინის მაღალი კრეატიულობით.

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 3 | 6 | 4 | 5 | 1 | 2 | 9 |
| 6 | 1 | 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 | 4 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 8 | 7 | 6 | 3 | 5 |
| 2 | 3 | 4 | 9 | 7 | 1 | 5 | 8 | 6 |
| 5 | 8 | 1 | 4 | 6 | 2 | 3 | 9 | 7 |
| 7 | 6 | 9 | 5 | 3 | 8 | 4 | 1 | 2 |
| 9 | 5 | 8 | 2 | 1 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 3 | 4 | 7 | 8 | 9 | 6 | 2 | 5 | 1 |
| 1 | 2 | 6 | 7 | 5 | 3 | 9 | 4 | 8 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 4 | 5 | 7 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 1 | 7 | 2 | 9 | 8 | 6 | 3 | 4 |
| 3 | 9 | 8 | 6 | 1 | 4 | 7 | 5 | 2 |
| 9 | 5 | 3 | 7 | 2 | 6 | 8 | 4 | 1 |
| 4 | 8 | 6 | 3 | 5 | 1 | 2 | 7 | 9 |
| 1 | 7 | 2 | 4 | 8 | 9 | 5 | 6 | 3 |
| 7 | 4 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 |
| 8 | 3 | 1 | 9 | 6 | 7 | 4 | 2 | 5 |
| 6 | 2 | 9 | 8 | 4 | 5 | 3 | 1 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 7 | 2 | 8 | 6 | 4 | 5 | 1 |
| 8 | 4 | 5 | 7 | 1 | 3 | 2 | 9 | 6 |
| 2 | 1 | 6 | 9 | 5 | 4 | 7 | 8 | 3 |
| 7 | 6 | 8 | 5 | 4 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 9 | 5 | 3 | 1 | 7 | 8 | 6 | 4 | 2 |
| 1 | 2 | 4 | 6 | 3 | 9 | 5 | 7 | 8 |
| 6 | 8 | 2 | 4 | 9 | 5 | 1 | 3 | 7 |
| 4 | 3 | 1 | 8 | 2 | 7 | 9 | 6 | 5 |
| 5 | 7 | 9 | 3 | 6 | 1 | 8 | 2 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 3 | 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 4 | 5 | 6 | 8 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 2 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 | 6 | 8 | 3 |
| 7 | 9 | 4 | 6 | 2 | 5 | 3 | 1 | 8 |
| 1 | 3 | 2 | 4 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 6 | 8 | 5 | 3 | 1 | 7 | 4 | 2 | 9 |
| 9 | 4 | 8 | 5 | 7 | 1 | 2 | 3 | 6 |
| 5 | 2 | 1 | 9 | 6 | 3 | 8 | 7 | 4 |
| 3 | 6 | 7 | 2 | 4 | 8 | 9 | 5 | 1 |

მე-10 გვერდი: 1. პასკვილი; 2. ავრალი; 3. კატმანდუ; 4. იქსი; 5. ფანტაზია; 6. ალაო; 7. ტრეჩენტო; 8. ზვიგენი; 9. პროტესტი; 10. ტუამოტუ; 11. იენა; 12. ეკბერგი; 13. მატერიკი; 14. ხეოფსი; 15. ლისტი; 16. ჩირიკი; 17. სარა; 18. ოინი; 19. ხელეჩო; 20. ალტაი; 21. ლენინი; 22. ოლიფა; 23. მეტრიკა; 24. იუნესკო; 25. ბანდა; 26. კოლაფსი; 27. კანიონი; 28. ფანდანგო; 29. ლაოკოონი; 30. ტოფუ; 31. კრისტო; 32. ისრიმი; 33. მემუარები; 34. რიალი; 35. იტრია; 36. რა; 37. სოია; 38. იაკი; 39. გო; 40. ნეკი; 41. კიი; 42. კედი; 43. მის; 44. ტიტრი; 45. ანალოგია; 46. მურა; 47. რძე; 48. კარლიკი; 49. უიტნი; 50. ერა; 51. ლეი; 52. აისი; 53. უზი; 54. აგა; 55. უნია; 56. ნუგა; 57. მარაო; 58. კამეა; 59. შაურმა; 60. იაიკი; 61. ბოტი; 62. ნონა; 63. კამა.

მე-12 გვერდი: 1. კვირინალი; 2. მედრესე; 3. კლიო; 4. ირონია; 5. იგოეთი; 6. ესთეტიკა; 7. რამაზანი; 8. სოდა; 9. კიმონო; 10. აფხაზეთი; 11. თრია; 12. თემიდა; 13. იდილია; 14. აქოლია; 15. ესტონეთი; 16. ქადა; 17. ბოა; 18. ტუზი; 19. სოფა; 20. კულისიე; 21. ბოკაჩო; 22. ლალი; 23. კენი; 24. ვიიონი; 25. ზუა; 26. მარგალიტა; 27. პოლო; 28. აცე; 29. რალი; 30. ვენერა; 31. ლეთე; 32. პოსეიდონი; 33. ლანოლინი; 34. თია; 35. ბაქო; 36. სანაცია; 37. აკორდეონი; 38. ავარია; 39. ფრე; 40. ენგელსი; 41. ედო; 42. არვე; 43. ვატერპოლო; 44. აბაი; 45. ელჩი; 46. ანალოე; 47. ალა; 48. დოლი; 49. ნიკე; 50. ეკი; 51. ტენტი; 52. იოდი; 53. კუალა; 54. დრო; 55. რეა; 56. დია; 57. კიბე; 58. გონიო; 59. დიკა; 60. არე; 61. მოსე; 62. რიფი; 63. კორა; 64. კრედო; 65. ემირ; 66. ორგია; 67. ლიე; 68. „აველუმი“; 69. ეტი; 70. კუკია; 71. იმაგო; 72. ლუპა; 73. ენა; 74. კაფე; 75. ლანცა; 76. არმადა; 77. დანაე; 78. აგიტაცია; 79. გირაგი; 80. აბრისი; 81. პა; 82. ვალეტა; 83. ხვალ; 84. იდო; 85. ესე; 86. სიუ; 87. ესკორტი.



1. ტერფზე ამოსაკრავი წვეტებიანი რკინა
2. ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ ...
3. გადაჭარბებული თავმოყვარეობა
4. წყალნარევი ღვინო
5. წაწვეტებულ-დინგიანი ნიანგი
6. მიანმარის უდიდესი ქალაქი
7. გასვენებაზე შორიდან მოს. ჭირისუფლის მხლებლები
8. შუამარბი ფეხბურთში
9. კანის სოკოვანი დაავადება
10. ფართო ქუჩის სახელწოდება აშშ-ში
11. მოსახლეობის გაჟლეტა ეროვნული მოტივებით
12. დედალი ჯიხვი
13. ყველაზე პატარა ჩიტი
14. იგივეა, რაც ჟარგონი
15. ინდური ფილოსოფიური მოძღვრება
16. იაპონელთა ჯიბის ყუთი
17. ბრინჯის არაყი იაპონიაში
18. კოლხეთი ანტიკურ წყაროებში
19. ცომის მოსაზელი ხის მოგრძო და ღრმა ჭურჭელი
20. ინგლისურენოვანი ენციკლოპედია
21. ზებრის ერთ-ერთი სახეობა
22. უძვ. სახნველი იარაღი
23. კატამოფერებით
24. ბულგარეთის დედაქალაქი
25. საკ. საცხოვრ. იძულებით გადაადგილებული პირი
26. ხრიკი, ფანდი
27. ვისიმე რწმუნებულების დამადას. დოკუმენტი
28. თმის საშრობი ელექტრომოწყობილობა
29. მსახიობი, რომელსაც აქვს სხვების მიბაძვის უნარი
30. ბრძოლის წარმოების წესები
31. ფეთქებადი ნივთიერება
32. მუხის ნაყოფი
33. ვენერას ბერძენი „კოლეგა“
34. დეკორატიული მცენარე
35. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული
36. საჭმელი სოკოს სახეობა
37. საპორტო ქალაქი შავ ზღვაზე
38. ზოოლოგიის ნაწილი, სწავლობს ობობებს
39. რელიგიურ-სექტანტური მიმდინარეობა აშშ-ში
40. იაპონიის ოლიმპიური ქალაქი
41. პირველი საბჭოთა პლანეტათაშორისი სადგური
42. ყურძნის ღვთაება გურიაში
43. ცის ღმერთი რუსულ მითოლოგიაში
44. რუსეთის საზოგადოებრივი ტელეარხი
45. საქართველოს ეროვნული ვალუტა
46. ეტნის მთის ქვეშ ჩამარხული ურჩხული
47. მრავალცოლიანობა
48. იგივეა, რაც სვირინგი
49. მთვარის ზედაპირული შრე
50. საგანთა ნუსხა
51. აზია-ევროპის გამყოფი მთები
52. ჰავაელთა მინიგიტარა
53. ქალაქი აფხაზეთში
54. თხის ნაშიერი
55. რბილი ჭედადი ლითონი
56. აპარატი კოსმონავტთა სავარჯიშოდ
57. საფეიქრო ბანანი
58. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
59. მდინარე რუსეთში
60. ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯორჯ ...
61. მდოგვის გაზის „მშობლიური“ ქალაქი
62. კომპოზიტორი ... მორიკონე
63. სვეტებიანი გალერეა ანტიკურ არქიტექტურაში
64. ძვ. სკანდინავიური ეპიკური ლიტერატურის ძეგლი
65. მე-20 საუკუნის ფრანგი დრამატურგი
66. რუსული როკ-ჯგუფი
67. ბიბლიური ნოეს ერთ-ერთი ძე
68. დაკოდილი ცხენი
69. პირისახის ძვალი
70. მაიმუნის ერთ-ერთი ჯიში
71. მსახიობი ... პაჩინო
72. ზედმეტი, უსაარგებლო რამ
73. აღორძინების ხანის იტალიელი მხატვარი
74. პირველი ქართული სახელმწიფო
75. ხელოვნური საერთაშორისო ენა
76. მთელის მეათასედი ნაწილი
77. სოფელი ადიგენის რაიონში
78. სახლის ნაწილის სამრკ. დადებული ხის ძელი
79. ფოსო თვალის ქვეშ
80. „სოციალისტ-რევოლუციონერის“ შემოკლებული სახელწოდება
81. დათა თუთაშხიას დის სახელი



# მედიკოსები იშვიათად დაბანას გვირჩევენ

ებრაელმა მედიკოსებმა განაცხადეს, რომ შხაპის ხშირად მიღება ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს, რადგან ამის გამო მნიშვნელოვნად ქვეითდება ბუნებრივი იმუნიტეტი. როგორც მკვლევარები აცხადებენ, თუ ადამიანი შხაპს ჰიგიენის საშუალებების გამოყენებით, დღეში ორჯერზე მეტად მიიღებს ამით შეიძლება სრულად გაანადგუროს კანის ბუნებრივი საფარი, რომელიც ათასგვარი სოკოსა და მიკრობებისგან გვიცავს. კვლევებისას მედიკოსებმა ისიც დაადგინეს, რომ შხაპის გელების, თხევადი საპნის ან ჰიგიენის სხვა საშუალებების გამოყენება განსაკუთრებით ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.